საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიცყვაა, ცყლიერებით და ჯიერებით ბუნთის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 19-21 აგვისტო. 2022 წ. №121-122 (9459-9460) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რეზო ადამია:

მზე სიცოცხლეა! ომი — სიკვდილი!



იხ. 3 გვ.



ავტორის ნახატი

დღეს ბედკრული საქართველო და უკრაინა ჩემგან დასურათებულ სატანურ საშინელებათა ქარ-ცეცხლშია გახვეული, რომელსაც შესაძლებელია, მოჰყვეს ატომური ომის უაზრობა და პლანეტა-მშვენიერების ხლეჩა. მაშინ უკვე არ იარსებებს მომჩივანნი, ჯანსაღი აზროვნება, მოსამართლე, კანონმდებელი და დასკვნითი განაჩენი, უაზრობა გამეფდება სამყაროსეული უკუნეთური წყვდიადით, რომელიც ამ ბოროტების ჩამდენსაც ქვესკნელში ჩაძირავს...

რა ხდება, როდესაც აფხაზები და ქართველები ერთმანეთს ხვდებიან?!

5

ტოკაევი დგამს ისეთ ნაგიჯებს, რომელიც უდავოდ კონფლიქტს გამოიწვევს რუსულ ელიტაში, მაგრამ ამ ყველაფერს აქვს დაცვის მხარეც — ჩინეთი!..

ტოკაევი და პუტინი შაიბნენ! ჩინეთი ისევ მშვიდად არის...

8

ზურაბ ცუცქირიძე:

უზნეობის ორიენტაცია

5

ჭკუაზე გადასული ნახევარი მსოფლიოს უსაქციელობის ქრონიკები

ვაჟა დანელია:

ვაქციოთ „დიდგორი“ ქართულ მარათონად!

10

ხომ არ დადგა დრო, 901 წლის წინანდელი ჩვენთვის ყოფითი ისტორიული ამბავი ქართველი ერის კულტურულ ღირებულებათა სისტემაში დავამკვიდროთ და ყოველწლიურად 12 აგვისტოს გაიმართოს 40–კილომეტრიანი რბენა სახელწოდებით დიდგორი?!

მატეუშ მორავეცკი:

ევროკავშირი დემოკრატიული მხოლოდ ქაღალდზეა!

9

ვახტანგ მაისაია:

ევროკავშირმა დააკონკრეტა სამი მიმართულება, რომელიც აუცილებლად მოითხოვს გადახედვას...

4

„ენგურჰესი“ არის ჩვენი ხიდი აფხაზეთთან

საქართველოს პრეზიდენტმა სამეგრელოს რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხალი დაათვალიერა, რომელიც ევროპის ინდუსტრიული მემკვიდრეობის მარშრუტშია შეტანილი.

„ენგურჰესს“ ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ როგორც ნაგებობასა და კაშხალს, ეს არის რეალურად, ჩვენი ნამდვილი ხიდი აფხაზეთთან, რამეთუ ერთობლივად იმართება და ეს ალბათ, ერთადერთი ასეთი, საერთო ეკონომიკური საქმიანობაა. ეს არის ის, რაც დღეს კიდევ გვაერთიანებს და რასაც ძალიან დიდი მომავალი აქვს.

ამავდროულად, „ენგურჰესს“ საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენი ენერგოპროდუქციის 40 პროცენტი აქედან მოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა პირდაპირაა დაკავშირებული „ენგურჰესთან“ და სხვა ჰესების მშენებლობასთან. ჩვენ ამაზე უნდა ვიფიქროთ, როცა ცოტა მარტივად და ცოტა ზედაპირულად ვსაუბრობთ, რომ ჰესები შეიძლება ბუნებას აზიანებდეს.

გადავხედოთ აქაურ ბუნებას, რამდენად მდიდარია ის, რამდენად მდიდარია „ენგურჰესის“ პოტენციალი, რამდენად სჭირდება საქართველოს ეს პოტენციალი და რამდენად სჭირდება ეს ხიდი ჩვენი და აფხაზების სამომავლოდ ერთად ყოფნას“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„ენგურჰესის“ კაშხლის ტურისტული მარშრუტის ხანგრძლივობა ორი საათია და ვიზიტორებს საშუალება აქვთ, დაათვალიერონ კაშხლის ხიდი, დისკური ფარების შენობა, გვირაბი, წყალსაცავის ფარების განყოფილება და სხვა საინტერესო ადგილები. ამჟამად პროექტს „ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი — მსოფლიო დონის ატრაქცია“ ენერგეტიკის განვითარების ფონდი და მისი შვილობილი კომპანია „ენგური ატრაქცია“ ახორციელებს.

„ენგური ატრაქციის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ანთიძე, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს „ენგურჰესზე“ უმასპინძლა, აცხადებს,



რომ „ენგურჰესს“, როგორც ტურისტული დანიშნულების ობიექტს პოპულარიზაცია სჭირდება და პრეზიდენტის დღევანდელი ვიზიტიც სწორედ ამას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხორციელდება დიდი პროექტი, რომელსაც თავისი ეტაპები გაჩნია და დრო სჭირდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ენგურჰესის კაშხალი, წელს უკვე ვიზიტორებისათვის გაიხსნა და მაისიდან უკვე 20 000 ვიზიტორი გვყავდა“, — განაცხადა ნიკოლოზ ანთიძემ.

ქართული ცხენოსნობის განვითარებას ხელშეწყობა სჭირდება

ქართული ცხენოსნობის განვითარებას ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა სჭირდება, რადგან ის არა მხოლოდ სპორტის სახეობა, არამედ ჩვენი კულტურა და ტრადიციაა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა სამეგრელოში, საცხენოსნო კლუბში „ხარება“ სტუმრობისას განაცხადა.

„როგორც „ენგურჰესია“ ხიდი აფხაზეთთან, ასევე ცხენი და ცხენოსნობა არის ხიდი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის და ზოგადად, გამაერთიანებელი. აუცილებელია, არსებობდეს ბევრი საჯირიბო და მათ რეგიონისა და ცენტრალური ხელისუფლებისგან ხელშეწყობა ჰქონდეთ.

საჭირო, აქ იმართებოდეს დიდი შეჯიბრებები, სადაც აფხაზებიც ჩამოვლენ და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიც. საჭირო, ამ ადგილს მისი კუთვნილი, ისტორიული ფუნქცია დავუბრუნოთ და არ დავივიწყოთ, რომ ცხენოსნობას ქართული სახელმწიფოსა და ქართული მხედრობისთვის კიდევ სხვა დატვირთვა აქვს.

თუ ამ ყველაფერს ერთად გავიაზრებთ და ტურიზმის მიმართულებასაც დავამატებთ, ეს მართლაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაცოცხლებელი დარგია. მივხედოთ ამ დარგს!“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

* * *

სალომე ზურაბიშვილი სამეგრელოში კერამიკის სტუდიასა და თხილის საწარმოსაც ესტუმრა.

როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურში აღნიშნეს, სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი ხორციელდება მცირე ბიზნესისა და ტრადიციული წარმოების მხარდასაჭერად...

კელი დეგნანი: აშშ-ის მიმართ მოძრაობა „ხალხის ძალის“ ბრალდებები სრული უგუნურობაა!

ბრალდებები, რომლებიც ბოლო დროს გაკეთდა აშშ-ისა და სხვების მიმართ, არის უგუნური, კონსპირაციის თეორიები, რომელსაც საფუძველი არა აქვს, — ასე უპასუხა საქართველოში აშშ-ის ელჩმა, **კელი დეგნანმა** ჟურნალისტების კითხვას, მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებასთან დაკავშირებით.

„რაც შეეხება ამ ჯგუფს, არ ვარ დარწმუნებული, რას წარმოადგენს ეს ჯგუფი, აშშ საქართველოს ბევრი წელია, ეხმარება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, ეს ასევე მოიცავს მრავალფეროვან პარლამენტს, რომელიც წარმოადგენს ქართველ ხალხს. არ ვარ დარწმუნებული, რას წარმოადგენს ეს ჯგუფი, რამდენად განსხვავებულები არიან მთავრობისგან. რისი თქმაც შეიძლია, არის ის, რომ ბრალდებები, რომლებიც მათ ბოლო დროს გააკეთეს აშშ-ისა და სხვების მიმართ, არის უგუნური, კონსპირაციის თეორიები, რომელსაც საფუძველი არა აქვს.

ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ამერიკა მუშაობს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, პოლიტიკური სპექტრის ირგვლივ. ასე შეგვიძლია, ჩვენ უკეთესად დავეხმაროთ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, ეკონომიკის გაძლიერებაში. ამას ვაკეთებთ ქართველ პარტნიორებთან 30 წელია და ამის გაკეთებას ვაპირებთ მომდევნო წლებშიც. ვიტყოდი, რომ ნებისმიერი ბრალდება, რომელზეც ჩვენ გვაკისრებენ პასუხიმგებლობას პოლარიზაციაზე, რომელიც აქ არის, არის გადაბრალების მცდელობა ჩვენზე და დასავლელ პარტნიორებზე მათგან, ვინც იცის, რომ თავად არიან პასუხისმგებლები. შემიძლია ვთქვა, ჩემი ორნახევარწლიანი აქ მუშაობის დროს, ყოველდღიურად ვცდილობ, საქართველოს პოლიტიკური ლიდერები გავაერთიანო, რომ შევამციროთ ის ღრმა პოლარიზაცია, რაც აქ არსებობს“, — განაცხადა დეგნანმა.

მისივე თქმით, ქართველებისთვის მნიშვნელოვანია, გადახედონ ბოლო 3-4 წელს და დაფიქრდნენ, საიდან მოდის ეს პოლარიზაცია.

„გატეხილი პოლიტიკური დაპირებები, ანტიდემოკრატიული ქმედებები, აი, აქედან წამოვიდა ღრმა პოლარიზაცია და არა დასავლელი პარტნიორებისგან, რომლებიც მხოლოდ ეხმარებიან საქართველოს ამ ღრმა პოლარიზაციის გადალახვაში. პარლამენტი და სხვა ინსტიტუტები უნდა ფოკუსირდნენ იმაზე, რაც მართლა მნიშვნელოვანია ქართველებისთვის, სამუშაო ადგილები, კარგი განათლება, მაღალი ფასები, უკეთესი ჯანდაცვა. აი, რაზე უნდა ფოკუსირდეს პარლამენტი და ის 12 რეკომენდაცია, რომელიც ევროკავშირმა გასცა, ყველა მოიცავს იმ დაპირებებს, რაც საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა მანამდეც თქვეს, რომ გააკეთებდნენ, ახლა არის სწორედ დრო, რომ გვერდით გადაიდოს აზრთა სხვადასხვაობა და ერთად იმუშავოთ კანდიდატის სტატუსის მისაღებად“, — განაცხადა დეგნანმა.

სკოლის მშენებლობებს 1 მილიარდი ლარი მოხმარდება

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მასშტაბური პროექტის განხორციელება იწყება — 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პირველი ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყება და ტენდერი 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადდება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.

მათივე ცნობით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერის ხელმძღვანელობით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ლევან სუხიტაშვილმა მთავრობის მეთაურთან ერთად პროექტის დეტალები განიხილეს.

პროექტის თანახმად, დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი 2023-2024 წლებში გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, ჯამში, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება. პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება.

საუკეთესო სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვეს

საქართველოს **თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა საუკეთესო სამხედრო მოსამსახურეები მადლობის სიგელებით დააჯილდოვა,** — ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, გიორგი მათიაშვილმა თავდაცვის ძალების საუკეთესო სამხედროებს — კაპრალ-სპეციალისტ კახა შარვაშიძეს, სერჟანტ ირაკლი ჯულაყიძეს, სერჟანტ ლევან პატაშურსა და უფროს ლეიტენანტ თორნიკე სამაკაშვილს მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა და კარიერულ ცხოვრებაში წარმატებები უსურვა.

„წელს საუკეთესო სამხედროები ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული ბრიგადიდან, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიიდან, თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-2 და მე-3 ქვეითი ბრიგადებიდან გამოვლინდნენ. თავდაცვის სამინისტროს სპეციალური კომისია საუკეთესო რიგითების, კაპრალების, ათეულისა და ოცეულის მეთაურების, სერჟანტებისა და უმცროსი ოფიცრების გამოვლენის მიზნით მუშაობას აგრძელებს. აღნიშნული ინიციატივა თავდაცვის უწყებაში სამხედროების დაფასების, შეჯიბრებითობისა და თავდაცვის ძალების კიდევ უფრო გაძლიერებას ემსახურება“.

მზე სიცოცხლეა! ომი – სიკვდილი!

სამყაროში მზე უთვალავ პლანეტებზე უჩვეულო ზნეობრივ სიკეთე-სიცოცხლე მიუწვდომელი, გამორჩეულ კანონიკური თვითმყოფადი უკიდეგანობის ინტელექტუალია, მარად ჩაუქრობელი სიცოცხლის და კოსმიური უჯანსაღესი ზეაზროვნების სრული მარადიული ნათებაა.

მზეს, უმტკიცესი გრანიტისეული უმკაცრესი სისტემით თავისი პლანეტები, საკვირველ გრუნვით მწყობრში და წარმოუდგენელ მიმოქცევის დისციპლინაში ჰყავს მოქცეული. ზოგჯერ შემოეპარება ხოლმე მის გამორჩეულ სივრცეში, გალაქტიკის თუ სამყაროს უთავბოლო, უხეში, მოხეტიალე, ტლანქი ფორმის უსიცოცხლო მეტეორები.



სამყაროთა აურაცხელ გალაქტიკებში გამუდმებითი ცეცხლოვან-გრიგალისებური წვაა უზარმაზარი, აფეთქებები და ამრიგად ისინი ურთიერთგანადგურების გაურკვეველ აღდგენითობაშიც არიან ჩართულნი. ამათ შუა ცალკე შავი ხვრელების იდუმალი გაუმაძღრობაა. მრავალ მათგანს გამუდმებით უნდა მზის შესაშური სისტემის უიშვიათესი წყობა, გამორჩეული უკარება მყუდროება წესრიგ-დისციპლინის ქაოსური არევა, მაგრამ მზეს უძლიერეს-უმკაცრესი თავისთავადი დაცვის სისტემა გააჩნია, რომელსაც ვერც ერთი უცხო კოსმიური ალიაქოთური ძალა არეულობისა, სრულ მიუკარებასთან ვერაფერი გასდით და თავისთავადი ბუნებით უსასრულობისკენ გაედინებიან. ამ დროს სამყაროს ბნელი უბოროტესი ინსტინქტი საგანგებოდ მაინც დაჟინებით თავის მსგავსთ ძალებს გზავნის და დედამიწა მათგან შავ დღეშია, ადამიანთ და ცოცხალ არსებათ ტანჯვა, წყვეტა და ვაებაა მის კეთილშობილ სხეულზე, უბოროტესი ურთიერთომებით, საშინელი უზნეო არეულობებით. ერთ უკუნეთურ დროს, ეშმაკზე უბოროტესმა ადამიანებმა, ატომით გადაწვეს და ბაქტერიებით დაავადებულ ხრიოკად აქციეს იაპონიის ულამაზეს-უმშვენიერესი ქალაქები ხიროსიმა და ნაგასაკი. ამჟამად ზეჯურღმულეთი კვლავ გზავნის დედამიწისკენ შაჰ-აბასებს, ჩინგის-ხანებს, მურვან ყრუებს, მაკედონელებს, პომპეუსებს, ნაპოლეონებს, ბუღა-თურქს, ნიკოლოზ მეფეს და სხვა მრავალს, ძნელია მათი ჩამოთვლა. ჩვენს უკვე საცოდავ დროს, არანაკლები, მათზე სიკვდილის მომტანი პუტინიც ამოაშავეს და ისევ იწყება დედამიწა პლანეტაზე ცეცხლოვანი შეტევა იერიშებით. უკვე გამოიკვეთა დამღუპველი ბოროტების უსაზღვრო ჩრდილები და მოსალოდნელია ტრუმენის სიავე ატომური უბედურებისა განმეორდეს და ისევ სწადიათ, როგორმე დედამიწა გაახვიონ გამანადგურებელ ატომურ ცეცხლოვან სივრცეში, მოშალონ და დაანახშირონ, მზის სისტემის მარგალიტი, სიცოცხლის, სიკეთის, სიყვარულის, ზოგჯერ ავად შემოპარული ურთიერთგაუტანლობად ქცეული პლანეტა დედამიწაზე თავისი თვითმყოფადი მშვენიერებით. და თუ რამეა მანკიერებანი ჩვენში, მხოლოდ მათგანაა შორეულიდან ჩამოყრილი, როგორც ქვიშა შხამიანი.

უკვე დროულად გმირული შემტევი ხმა უნდა დაარისხოს უკიდურესი სამართლიანი მოთხოვნით ამომავალი მზის ქვეყანამ იაპონიამ, უძველესმა ერმა ჩინეთმა, საოცრება ინდოეთმა, საუკუნის მოწინავე და მრავალმხრივი პროგრესის ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყანამ, უკლებლივ მთლიანად ევროპამ, მზე ბობოქარმა აფრიკამ, კილიმანჯაროს თოვლიანმა მთებმაც ზეცას უნდა მიაწვდინოს უკიდურესი მიწიერი განგაშის ხმა და კავკასიის მთებმა, რისი მონა-მორჩილი მეც გახლავართ, მაგ ბოროტებას უკვე შეწირული, ასევე მრავალ ცივილიზაციათა ავტორმა აზიამ და უძლიერეს-უძველესი სამხრეთის ქვეყნებმა, ამ შემთხვევაში ისრაელის საგანგაშო ბიბლიური გუგუნი ყოვლის მტევად სივრცეს უნდა აბანზარებდეს. საოცრება მოვლენა უძველესი კოლხეთისა და ანტიკური ქვეყნების სინანულის ცრემლმა უნდა ჩაახრჩოს ბოროტების ჩრდილოელი სრული შიზოფრენისტი მოთავე, რომელშიც უკეთურმა, ყველაზე შხამიანმა გონების ნივთიერებებმა გაიღვიძეს. რუსმა ხალხმა სამუდამოდ უნდა მოშალოს ამ ადამიანის სახიერი გამოსახულებაც და შეუდგეს კოსმიურ კეთილშობილ სხივთა კვლავ მიღებას.

ფაქტი სახეზეა, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერც ერთი ზეძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას. ეს კი საერთო ქვეყნიურ მარადიული უსასრულო ტკივილ-ტრაგედიაა;

კაენი? მხოლოდ მიმსგავსებაა...

მაგ კოსმიური მჭვარტლ-ჭუჭყიანი მომწამვლელნი სხივთ გავლენის უბოროტესმა გველ-მორიელა ადამიანებმა საუკუნეებით საქართველო მონობაში აწამეს, ყვითელი შხამიანი მორიელის კუდის ფორმის და მისი სიკვდილის ფერის დამპყრობთა გესლში ვიხრჩობოდით, ვიტანჯებოდით ზნეობრივი გადაგვარებებით, გენეტიკის ჩაქოლვით, დედამიწაზე განსხვავებული ამ ულამაზესი ერის სახის დაშლა-დამახინჯებით. თითქოსდა ზეციური მგუდავი სასჯელიაო, ვიტანჯებოდით ოდითგანვე კოლხეთ-იბერია-საქართველო, სამასი წლობით, ოთხასი, ას ორმოცდაათი, ორასი და მრავალი ასეულითაც, განა საშინელება არ იყო იდეებმომარჯვებული რუსული წითლების ყოველთა გადამშენებელი აგრესია, თანაც თავად რუსი ინტელიგენციის გამანადგურებელის, ისტორიულ ეკლესიათა მნგრეველის, ხატთა შეურაცხმყოფელის, საქართველოს, ახლად ფეხზე წამომდგარი სახელმწიფოს დამარბეველ-მომშლელი, მამათმავალ უზნეო ადამიანზე ჩვენს ხალხს დღე და ღამ ათაყვანებინეს და მისი სატანური ცალთვალმოჭუტული მონღოლური სახის ფოტო გულმკერდის ჯიბით ათეულ წლობით ატარებინეს. განა არ იყო ეს ადამიანებზე კოსმიური შხამიანი გველისფერი მათრახის გადაწნა?

პარიზში ხშირად მეტყოდნენ ხოლმე რუსი ემიგრანტები, ლენინმა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია სამუდამოდ დაასამარაო. დაგალი ზნეობისა და უპრინციპო ხალხი, მაინც ადიდებდა მას, მდაბიურ-მშიშრულად პირადი სიცოცხლის გადარჩენის ან განდიდების მიზნით. ხოლო მათგან ერთეულნი ზნეობრივად მაღალნი, შინაგანად გმირნი და კეთილ ვარსკვლავთ მატარებლები მაგ ბნელეთს ეწირებოდნენ...

შხამად გარდაქმნილნი – გველსახისა გვართმევდნენ ყველაფერს. თავისუფლებას, ნიჭს, გვირყვნიდნენ შორეულ გენეტიკას, გვიხშობდნენ კეთილ ინსტინქტებს, ანადგურებდნენ გამორჩეულ მშვენიერებას უძველესი ქართულისა. კლავდნენ ღვთითკოსმიურის სიყვარულის გრძნობებს და მათსავით გვაველურებდნენ. ასევე უნიკალურ ბუნებრივ თვითნაბად სიკეთეს გვიხშობდნენ ამ უბედურ შავ წლებ-ეპოქებში უკიდეგანობის ღმერთები ოდითგანვე ნებისმიერიი შესაძლებლობის ადამიანების დონეზე უძლურები იყვნენ. ისტორიული სიზუსტე და უთვალავი მართალი ფაქტები სახეზეა, რომელნიც მუდმივ უძრავია, რაც ნებისმიერ ოცნება, რელიგიურ რწმენა-ფანტაზიაზე ბევრად ძლიერია (მინდა გკერდეთ, თქვენზე არანაკლებ მორწმუნე გახლავართ, მიწიერ-ადამიანური ზნეობის, სიყვარულისა და ღვთიური სიკეთის ურყევი მრჩეველ-მასწავლებელი, მხოლოდ მართალი კანონ-კონსტიტუციისა, რომელიც ადამიანებს ორივ ქვეყანაში აუცილებლად გვჭირდება, რათა გზა გავიკვლიოთ კოსმიურ უკეთილშობილესი სინათლისკენ). მრავალჯერ ჩემ მიერ ნათქვამ მაგალითს მოვიყვან. დედამიწაზე გაუგონარი ცოდვაა ჩადენილი გველთავა სპარსელების მიერ. სამასამდე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის წმიდა, უწყინარი, სულიერნი და უპატიოსნესი ბერები შავი, ნახშირის ფერის გაცოფებული ცხენთა კუდზე მიბმული, ხრიოკ ქვა-ღორღიან მიწაზე ათრიეს და ასე დაუნდობლად ამოხადეს სული ნათელი... მათ დაღვრილ სისხლს კი უდაბნოს გველი და ხვლიკები ლოკავდნენ და სატანურად ტკბებოდნენ. გეკითხებით უკლებლივ ყველას, სად იყო მაშინ ალაჰი, იუდა, ბუდა, იესო, იეღოვა და მრავალ აღმსარებლობათა წინამძღოლები? რატომ ვერ მისწვდნენ მაგ გველსატანა სახეწაშლილ კაცუნებს. ამდაგვარ უბედურებით სავსე შემთხვევაში, კოსმოსური ბედ-იღბალიც უძლურია, აქ თუ რამე უდგას წინ, ისევ კეთილი ვარსკვლავთ სხივნათებანი, მათი ორგანულად უტყუარი მიღება რჩეულთა სხეულგონების მაგნიტური მიზიდულობით.

უძველესი ველური სკვითების მღვრიე გენების ყველაზე უარყოფითმა უჯრედებმა გაიღვიძეს კეთილთა სისხლში მობანავე პუტინის ძარღვებ-კაპილარებში და ყველაფრის ღვთიურ-კოსმიურ-ადამიანურ ჭეშმარიტების მიმართ ანგარიში თუ უმცირესი პატივიც დაკარგა და უმშვენიერეს უკრაინაში ადამიანთ ხოცვა-ულეტა ბარბაროსულად გამაოგნებლად გრძელდება. რატომ? რის გულისთვის! მზის მეგობარი საქართველო? დიდი ხანია, დაიმორჩილა. ქართველები ველოდოთ ბედს... ჩემო ღრმად მორწმუნენო, ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ყველა თქვენი გულუბრყვილო კრიტიკა სამწუხაროდ ფანატიზმისმიერია...

ასე რომ, მეგობრებო, კეთილო მორწმუნენო და სულმოხეტიალე ათეისტებო, კოსმოსის ბოროტ ძალთა ზემოქმედებას ჩვენს პლანეტაზე ვერ უდგება წინ ვერაფერი, საკვირველია, მაგრამის მხოლოდ და მხოლოდ სრულდება... ისევ ჩემს პირად აზრს გამოვთქვამ, ამ შემთხვევაში ნებისმიერი რელიგიურ-სულიერი კანონ-კონსტიტუციები, სამწუხაროდ, უძლურია. დღეს გედკრული საქართველო და უკრაინა ზემოთ დასურათებულ სატანურ საშინელებათა ქარ-ცეცხლშია გახვეული, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს ატომური ომის უაზრობა და პლანეტა-მშვენიერების ხლეჩა. მაშინ უკვე არ იარსებებს მომჩივანნი, ჯანსაღი აზროვნება, მოსამართლე, კანონმდებელი და დასკვნითი განაჩენი, უაზრობა გამეფდება სამყაროსეული უკუნეთური წყვდიადით, რომელიც ამ ბოროტების ჩამდენსაც უნახავებაში ჩაძირავს...

ყოველთა ნაღველსავსე დასკვნა: ადამიანური ურთულესი და უცნობი ბოროტ ძალთა აღკვეცა თურმე ძალიან ძნელია. ისევ მზის უზარმაზარმა ენერგიის გავლენა მიუწვდომელმა კოსმიურმა ინტელექტმა, უსაზღვრო სიკეთის და ყოველთა განურჩევლობამ უნდა გვიშველოს, გადაგვარჩინოს, რათა მისგან ზრდილ მწიფე გონებით სავსე ადამიანები უნდა დაუდგნენ მზეს გვერდით და სამუდამოდ განიდევნოს მიწა პლანეტიდან ბოროტი სულები. ასევე ყოველმხრივ აუცილებელია მშიშრები და ორგულნი შეაგულიანონ როგორმე, რათა ისინიც დედამიწის გარშემო გარკვეულ ცუდ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენენ...

მარადიულობის ადამიანო! ფერად, ყვითელ და თეთრკანიანებო! ხომ არ მოვიდა დრო, უმკაცრესი ტაბუ დაედოს ან სასტიკად აიკრძალოს სიცოცხლის და პლანეტა-მიწის გამანადგურებელი საომარი იარაღების გამოგონება და ბევრად უმჯობესია კეთილ მეცნიერებაზე წარიმართოს მათი მაღალი ნიჭი, რადგან ხალხთა შორის მშვიდობა მარადიული აუცილებელი მოთხოვნაა და სამართლიანი მუდმივი ლოზუნგია. რომელიც ზემიწიერი გააზრებითი მოთხოვნაა.

სწავლულო მეცნიერებო, გავიცნობიეროთ, რომ კაენის მოდგმა ხომ მარად გამოუსწორებადია... ვერც ერთი ზეძალა ვერ შეძლებს მათთან ერთად სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას, ეს კი მარადიული და უსასრულო ტკივილ-ტრაგედიაა... თქვენც თქვენეული გამანადგურებელი ქტომ-ბაქტერიების მობილიზებით, იგივენი ბრძანდებით.

უთუოდ ზეციური კეთილი ქმედებანი ჩვენკენ იჩენს პირ-სახეს, პუტინივით ადამიანი უნდა გარდაქმნან ძირფესვიანად. მისი დასჯა ჩვენ ვერაფერს ვერ გვიშველის, რადგან მუდმივ დარდად ბოროტ-შხამიანი ფესვები საკმაოდაა გადგმული მიწის სიღრმეებში, მხოლოდ მზის სხივებს და უძლეველ სიკეთეს ძალუძს მისი საბოლოოდ ამოშანთვა!



ჩვენი მზის სისტემაში და საერთოდ სამყაროთა უსასრულობაში, თავად ადამიანის ყოფნა-არყოფნის ბედი მაინც თავის თავზეცაა დამოკიდებული“.

რეზო ადამია,
2022 წ. აგვისტო

სტილი დაცულია

კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ოპოზიცია გამიზნულად უშლის ხელს!

დავუშვათ, შევედით ევროპაში, მერე ოპოზიციას რა?..

კანდიდატის სტატუსის მისაღებად გაცემული ბრიუსელის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად სამუშაო შეხვედრები გრძელდება. სასამართლო რეფორმაზე პარლამენტში ამ დღეებში იმსჯელებენ, თუმცა ისევ ოპოზიციის გარეშე. ოპოზიციის ნაწილმა უკვე დააანონსა, რომ არ ერთვებიან სამუშაო შეხვედრებში, რადგან მათი აზრით, ეს შეხვედრები ფორმალურია. შესაბამისად, საკუთარ საკანონმდებლო ცვლილებებს პარლამენტს სექტემბერში წარუდგენენ.

რასაკვირველია, ოპოზიციის პრეტენზიების ერთგულია სახალხო დამცველის მოადგილე. **გიორგი ბურჯანაძის** განცხადებით, ქვეყანას სჭირდება ისეთი სისტემის შექმნა, რომ ინდივიდუალურ მოსამართლეზე არავის ჰქონდეს ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

დღეს ქართულ მართლმსაჯულებას ახასიათებს უნიკალური პრობლემა – სასამართლოს მთავარი პრობლემა არის სასამართლოს შიგნითვე არსებული ჯგუფი, რომელსაც აქვს გავლენა, საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ბერკეტები, რომლითაც ისინი ახდენენ გარკვეულ პირთა დანიშვნას, მათ წახალისებას და გარკვეულ თანამდებობრივ წინსვლას. ნებისმიერ პოლიტიკოსს, რომელიც დღეს პარლამენტში არის წარმოდგენილი, ერთი რამ უნდა ჰქონდეს ასახული, რომ ეს არსებული პრობლემა გამოასწოროს.

ჩვენ გვაქვს გაკეთებული განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე და ამას სჭირდება ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც იქნება დამოუკიდებელი, გამჭვირვალე, მეტად ანგარიშვალდებული – ეს ყველაფერი საჭიროებს მეტ მოქმედებას. თუკი ეს რეკომენდაცია არ იქნება გაზიარებული, ჩვენ ვერ მივიღებთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, შესაბამის ეკონომიკურ განვითარებას და უამრავ სხვა სიკეთეს, რაც ევროკავშირთან არის დაკავშირებული“, – განაცხადა **გიორგი ბურჯანაძემ.**

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის **ანრი ოხანაშვილის** განცხადებით, სამუშაო ჯგუფის მორიგ შეხვედრაზე მოისმენენ რეფორმის შესახებ კონკრეტული წინადადებების ავტორების მხრიდან არგუმენტებს. მისი თქმით, სწორება უნდა იყოს იმაზე, რომ თუ ცვლილებების საჭიროება იქნება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით იმუშაონ და განახორციელონ ცვლილებები.

„არ გვაქვს იმის ფუფუნება და უფლება, რომ ქართული სასამართლო სისტემა, საკანონმდებლო სივრცე ვაქციოთ საცდელ ობიექტად. ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს. მზად ვართ, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩვენი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად, სასამართლო სისტემის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, შესაბამისი ცვლილებები შევიმუშავოთ. მზად ვართ და მოვისმენთ ნებისმიერ პოზიციას.

სამწუხაროდ, ეს ადამიანები კოლეგიის შემადგენლობას, პალატის შემადგენლობას, სადაც კანონითაა ეს შემადგენლობა გათვალისწინებული და კანონითაა გათვალისწინებული კონკრეტულ თანამდებობებზე პირების არჩევა, ამ კანონისმიერი პროცედურით არჩეულ წევრებს უწოდებენ „კლანს“, რაც არავითარ სამართლებრივ ლოგიკაში არ ჯდება. აქედან გამომდინარე, უნდა წარმოადგინონ არგუმენტები, ფაქტები, რა მოხდა არაკანონიერი და სად არის კანონის შეცვლის საჭიროება. ასე ზოგადი ფრაზებით საუბარი საქმიან შედეგზე არ არის ორიენტირებული. ჩვენ ორიენტირებული ვართ საქმეზე“, – განაცხადა **ანრი ოხანაშვილმა.**

ევროკომისიის დასკვნით, საქართველომ უნდა მიიღოს ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივა, თუმცა კანდიდატის სტატუსისთვის, 12 მოთხოვნა უნდა შეასრულოს. 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მიზნით საპარლამენტო ოპოზიცია მათ მიერ ფორმირებულ სამუშაო ჯგუფებში მუშაობას განაგრძობს, თუმცა ოპოზიცია, რომელიც აცხადებს, რომ მათი მიზანია ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სატატუსი, რეალურად, საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ამ შემთხვევაში კონსტრუქციულობა კიდევ მაღალი მატერიაა. ერთს ამბობენ და რეალურად მათი მოტივი ხშირად სხვა არის და ხშირად, ამას თვითონაც ვერ აცნობიერებენ.

„ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ასეთ ფაქიზ ფსიქოლოგიურ მომენტთან არ გვაქვს საქმე. დავაკვირდეთ, თუკი ევროპა ისევ უარს გვეტყვის, დიდი შანსია, რომ ხელახლა დაიწყოს შეძახილი წინ, ევროპისკენო და გამოვიდეს ხალხი ქუჩაში. ამათ ხომ ქუჩაში გამოსული ხალხი უნდათ და ნებისმიერი საბაბი, რაც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. მათ მიზანია იმ კონდიციამდე მიიყვანონ ვითარება, რომ ხალხი გამოვიდეს ქუჩაში და მერე ამ ქუჩაში გამოსულმა ხალხმა შეძლოს ხელისუფლების შერყევა და რევოლუციური სცენარის ამოქმედება. ეს არის ძირითადი მიზანი.

დავუშვათ, შევედით ევროპაში, მერე ოპოზიციას რა? უნდა ჩატარდეს წესიერი არჩევნები და გაიმარჯვოს იმან, ვინც ხალხს სურს და... ვინც ხალხს სურს, ამას ვხედავთ 2012 წლიდან, ვერც ერთხელ ოპოზიციამ ვერ მოახერხა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა. ასე რომ, მაგათთვის ევროპაში შესვლა არაფრის მომცემია. ერთადერთი შეიძლება თქვან, რომ ჩვენ ვაიძულეთ ხელისუფლება და ამიტომ შევედით ევროპაშიო. ის, რაც მაგათ სურთ – ხელისუფლებაში მოსვლა საარჩევნო სისტემის გარეშე, ეს ევროპაში შესვლით არ გამოვა. ევროპაში შეუსვლელობით კი შეიძლება მიაღწიონ. ამიტომ, ყველაფერს გააკეთებენ ამ პროცესის შესაჩერებლად“.

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, ოპოზიციის მოტივია საქართველომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში ვერ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რადგან მათ კარგად ესმით, რომ თუკი ეს მოხდა, ეს იქნება უმძიმესი დარტყმა და უკვე შეუძლიათ საკუთარ თავს პოლიტიკური პანაშვიდი გადაუხადონ.

„როდესაც არჩევნების დრო მოაღწევს, „ქართულ ოცნებას“ ეს ყველაფერი ჩაწერილი ექნება მის აქტივში, თუ შეიძლება ასე ითქვას – საგარეო პოლიტკურ მიღწევებში. ანუ, უვიზო რეჟიმი, კანდიდატის სტატუსი, იქ კიდევ სხვა მიღწევები. შესაბამისად, ოპოზიციას რა ექნება ხელთ? – არაფერი. თუ საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღო, ოპოზიცია ამით კარგავს მის ერთ-ერთ უმთავრეს ბერკეტს, რომ ის „ქართულ ოცნებას“ აცხადებს პრორუსულ ხელისუფლებად. აქედან გამომდინარე, გარდა იმ პოლიტიკური და რეპუტაციული დანაკარგებისა, რასაც ოპოზიცია მიიღებს, მას აღარ ექნება უკვე ვითარებაზე ზემოქმედების ბერკეტი. ამიტომ, ოპოზიციის მოტივაციაა, მან ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს კანდიდატის სტატუსის მიღებას, ამის ფონზე „ქართული ოცნება“ წარმოაჩინოს პრორუსულ ძალად და ამის ნიადაგზე შეეცადოს ისევ ხალხის მობილიზებას და ხელისუფლებაში დაბრუნებას.

თამთა ქარჩავა

„ვახტანგ მაისაია:

ევროკავშირმა დააკონკრეტა სამი მიმართულება, რომელიც აუცილებლად მოითხოვს გადახედვას,

ამ მხრივ, საქართველო უბრალოდ, ვერ მიიღებს კანდიდატის სტატუსს

სამი მიმართულება გამოიყო, რომელიც სერიოზულ პრობლემას ქმნის საქართველოსთვის, უშუალოდ ამ სტატუსის მიღების კუთხით. იმედია, რომ იქნება სერიოზული მსჯელობა და ეს საკითხები მოგვარდება დეკემბრამდე“, – ასე გამოეხმაურა სამხედრო ექსპერტი, ვახტანგ მაისაია for.ge-სთან ინტერვიუში, ევროკომისიის ყოველწლიურ ანგარიშს.

– ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს მორიგ სხდომამდე, რომელიც 2022 წლის 6 სექტემბერს გაიმართება, ევროკავშირმა ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს მიერ გასული წლის განმავლობაში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული რეფორმები. ანგარიშის თანახმად, გასული წლის განმავლობაში სასამართლო სისტემის რეფორმა შეფერხდა და ძირითად სფეროებში რეგრესიც კი განიცადა. ამასთან, ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, სახალხო დამცველის ოფისმა ზეწოლა იმის გამო განიცადა, რომ ხმამაღლა ეხმაურებოდა გარკვეულ პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებს. გარდა ამისა, ანგარიშში ნიკა მელიას, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, ნიკა გვარამიას და მიხეილ სააკაშვილის საქმეები მოხვდა. აღნიშნული ანგარიში ორივე მხარემ, ოპოზიციამ და ხელისუფლებამ თავისებურად და სათავისოდ წაიკითხეს. თქვენ, პირადად, რას გეუბნებათ ევროკომისიის ეს წლიური ანგარიში?

– სამი მიმართულება გამოიყო, რომელიც სერიოზულ პრობლემას ქმნის საქართველოსთვის. ეს არის სასამართლო და მართლწესრიგი, მეორე – კორუფცია და ორგანიზაციული დანაშაული და მესამე ნაწილი შეეხება ადამიანის უფლებებს. იმედია, რომ იქნება სერიოზული მსჯელობა, რომ ეს საკითხები მოგვარდეს დეკემბრამდე. ანგარიშში საუბარი იყო სახალხო დამცველზე, როგორ მოხდეს ამ ინსტიტუტის გაძლიერება, რომ სახელისუფლებო სტრუქტურების გავლენის ქვეშ არ მოხვდეს.

რაც შეეხება სააკაშვილის საქმეს, ის ანგარიშში შეყვანილი არ არის, როგორც პოლიტპატიმარი. საუბარია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. სხვათა შორის, ასეთი ფუფუნება და პრივილეგია მიხეილ სააკაშვილის პოლიტპატიმრებს და უკანონოდ დაკავებულ პატიმრებს არ ჰქონიათ.

– სამომავლოდ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების თვალსაზრისით, რას გვთავაზობს ეს ანგარიში?

– ევროკავშირმა, უბრალოდ, დააკონკრეტა, უფრო მეტად დააკონკრეტა, დააკონკრეტა, დააკონკრეტა, უფრო მეტად დააკონკრეტა, დააკონკრეტა, დააკონკრეტა,

უზნეობის ორიენტაცია

ჭკუაზე გადასული ნახევარი მსოფლიოს უსაქციელობის ქრონიკები

ცოდნით, ერუდიციითა და ინტელექტით გამორჩეულ ერთ ჩემს მეგობარს დავურეკე და ვკითხე: „გულწრფელად მიპასუხე, თუ ძმა ხარ, ჰომოსექსუალობა და ლესბოსელობა ავადმყოფობად მიგაჩნია თუ არა-მეთქი. ჩემო ზურა, მე მაგის სპეციალისტი არა ვარ და ვერაფერს გეტყვიო, — იმან. რას ამბობ, ბიჭო, მე გეკითხები, კაცს რომ კაცთან სექსი მოუნდება და დასაგრილებელი დეკეულივით ატყდება, ამგვარი ლტოლვის შეფასებას რა სპეციალისტობა უნდა-მეთქი, — გავოცდი კაცი! იმან კი მშვიდად მიპასუხა: სპეციალისტებს დავეკითხები და დაგირეკავო, აღარაფერი მითქვამს, ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. ამ კაცს ახლგაღვიძებულზე რომ ჰკითხო, ჯომოლუნგმა ძირიდან თხემამდე რამდენი მილიმეტრი, ან მდინარე კონგოში მობინადრე თევზის ჯიშები ჩამომითვალე, ანდა ჯეკ ლონდონის საზაფხულო ფეხსაცმელი რა ფერისა იყო, სპეციალისტების კონსულტაციები სჭირდება? არა, რა თქმა უნდა! აბა, რა მიზეზიაო, — იკითხავთ, ალბათ. რა მიზეზია და სიმართლის თქმას ვერ ბედავს. ერთობ პოპულარული კაცია და იმიტომ! არ უნდა, ის ჭკუიდან გადამდგარი ნახევარი მსოფლიო „აიბუნტოს“, ნახეთ, ეს კაცი ლიბერალი რომ გვეგონა, ჰომოფობი ყოფილაო, აღარ ვნახოთ ევროპაში ფეხჩამოდგმულიო, ეგ რუსეთის აგენტი, ეგაო!..

მართალია, ის ჩემი მეგობარი: მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალურობა ავადმყოფობის სიიდან ამოიღო და მის ნაცვლად „სიყვარული“ ჩასვა მძიმე დაავადებათა სიაში, ჰომოსექსუალობის (ჩვენებურად, პედერასტობის!) დაავადებად მიჩნევა ნამეტან სიბნელედ და ჩამორჩენილობად მიაჩნიათ ლიბერასტებს, ანუ ნეოლიბერალებს, თითქმის ნახევარ მსოფლიოს და ამ „ინტელექტუალების კეთილგანწყობის დაკარგვა პატარა საქმეა?

ახლა იმ ჩემს მეგობარს და მის მსგავს ნიჭიერ, მცოდნე და ერუდირებულ ადამიანებს ვკითხოთ: ადამიანებო, გაფიცებთ კაცობას, ჰომოსექსუალურობა მართლა სექსუალური ორიენტაცია გგონიათ? კაცს რომ კაცთან მოუნდება ჟიმაობა, ნორმალურია ეს? წვერულვაშა კაცს მასავით წვერ-ულვაშგაწკეპილი კაცი ქალი რომ ჰგონია და მისი გაუპატიურების სურვილი ჰკლავს, ორიენტაციაა ეს? თუ ავადმყოფობაა? გვიპასუხეთ ერთი?

კაცს თუ თავი ნაპოლეონი, იულიუს კეისარი, მაკედონელი ან შექსპირი ჰგონია, ავადმყოფია და მაგრამ კაცს თუ თავი ქალად მიაჩნია, ან ქალს კაცად, ეს ჩვეულებრივი ორიენტაციაა, ხომ?

კარგით! ვთქვათ არსებობს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციები და ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება; კი, მაგრამ, რატომ ითვლება დანაშაულად კაციჭამიობა? განა ეს „კულინარიული ორიენტაცია“ არ არის? ნეოლიბერალების აზრით, რა თქმა უნდა!

უკვე დავრწმუნდი, რომ ნეოლიბერალებსა და მათ გავლენაში მყოფ ადამიანებთან კამათსა, თუ მსჯელობას ზოგადადამიანურ ღირებულებებსა თუ ზნეობრივ ნორმებზე არავითარი აზრი არ აქვს. ესენი ან თვითონ არიან ავადმყოფები, ან რაღაც დიდი გამორჩენის სანაცვლოდ თავს ისულელებენ და ავადმყოფობის აპოლოგეტებად გვევლინებიან. მხოლოდ აპოლოგეტებად კი არა, სნეულების პროპაგანდისტებადაც!

ხალხს ქუჩაში, ამიტომ, ეს მხოლოდ წყლის ნაყვაა. „ქართულმა ოცნებამ“ კი უნდა გამოიჩინოს ტოლერანტობა და საერთო აზრი გამონახოს ოპოზიციასთან. პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ასოცირებული ქვეყნის წევრობაც კი, ანდა გაგვიუქმონ უვიზო მიმოსვლაც. ასეთმა პოლარიზებულმა გარემომ შეიძლება ეს საკითხი დააჩქაროს.

— ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ ქვეყანაში პოლარიზაციის ხარისხი შემცირდება იმ შემთხვევაში, თუკი ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან წავა, ხოლო „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში თანამდებობრივად დაბრუნდება და გარკვეულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც აიღებს საკუთარ თავზე. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

— ქართულ პოლიტიკას ქარიზმატული ლიდერები სჭირდება. არა აქვს მნიშვნელობა სააკაშვილი იქნება, ივანიშვილი, გამსახურდია თუ შევარდნაძე. სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე მარტო არ არის საუბარი, მან საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს და აღიაროს ის დანაშაულები, რაც ჩაიდინა. ხალხი ისევ ელოდება ივანიშვილს, რადგან სხვა, ქარიზმატული ლიდერები არ არსებობენ.

— რაც შეეხება იმ ოთხეულს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ გამოეყო, თქვენი აზრით, ის კამპანია, რაც დეპუტატებმა წამოიწყეს, რა გავლენას იქონიებს ქვეყანაში არსებულ განწყობებზე?

— ვშიშობ, რომ ისინი გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. თანდათან, ანტიდასავლური და ანტიამერიკული სენტიმენტები ფეხს იკიდებენ საქართველოში, რაც ძალიან ცუდია. ისინი ყიდიან „ფეიქნიუსის“ პროდუქციას, რაც განსაკუთრებით მოქმედებს დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე სოციუმზე. მათ შეუძლიათ გარკვეულწილად შექმნან ამინდი, ანტიდასავლური და ანტიამერიკული სენტიმენტების მიმართულებით. ამაზე მუშაობს მოსკოვიც და ამ ორი ელემენტის უნებლიეთ გაერთიანება ამ პროცესს ხელს უწყობს. დღეს ამერიკის გეოპოლიტიკური სიძლიერე ცოტა შესუსტებულია ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის პირობებში. ეს ფაქტორი მოქმედებს ჩვენს რეგიონშიც.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

ცოდნით, ერუდიციითა და ინტელექტით გამორჩეულ ერთ ჩემს მეგობარს დავურეკე და ვკითხე: „გულწრფელად მიპასუხე, თუ ძმა ხარ, ჰომოსექსუალობა და ლესბოსელობა ავადმყოფობად მიგაჩნია თუ არა-მეთქი. ჩემო ზურა, მე მაგის სპეციალისტი არა ვარ და ვერაფერს გეტყვიო, — იმან. რას ამბობ, ბიჭო, მე გეკითხები, კაცს რომ კაცთან სექსი მოუნდება და დასაგრილებელი დეკეულივით ატყდება, ამგვარი ლტოლვის შეფასებას რა სპეციალისტობა უნდა-მეთქი, — გავოცდი კაცი! იმან კი მშვიდად მიპასუხა: სპეციალისტებს დავეკითხები და დაგირეკავო, აღარაფერი მითქვამს, ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. ამ კაცს ახლგაღვიძებულზე რომ ჰკითხო, ჯომოლუნგმა ძირიდან თხემამდე რამდენი მილიმეტრი, ან მდინარე კონგოში მობინადრე თევზის ჯიშები ჩამომითვალე, ანდა ჯეკ ლონდონის საზაფხულო ფეხსაცმელი რა ფერისა იყო, სპეციალისტების კონსულტაციები სჭირდება? არა, რა თქმა უნდა! აბა, რა მიზეზიაო, — იკითხავთ, ალბათ. რა მიზეზია და სიმართლის თქმას ვერ ბედავს. ერთობ პოპულარული კაცია და იმიტომ! არ უნდა, ის ჭკუიდან გადამდგარი ნახევარი მსოფლიო „აიბუნტოს“, ნახეთ, ეს კაცი ლიბერალი რომ გვეგონა, ჰომოფობი ყოფილაო, აღარ ვნახოთ ევროპაში ფეხჩამოდგმულიო, ეგ რუსეთის აგენტი, ეგაო!..

მართალია, ის ჩემი მეგობარი: მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალურობა ავადმყოფობის სიიდან ამოიღო და მის ნაცვლად „სიყვარული“ ჩასვა მძიმე დაავადებათა სიაში, ჰომოსექსუალობის (ჩვენებურად, პედერასტობის!) დაავადებად მიჩნევა ნამეტან სიბნელედ და ჩამორჩენილობად მიაჩნიათ ლიბერასტებს, ანუ ნეოლიბერალებს, თითქმის ნახევარ მსოფლიოს და ამ „ინტელექტუალების კეთილგანწყობის დაკარგვა პატარა საქმეა?

ახლა იმ ჩემს მეგობარს და მის მსგავს ნიჭიერ, მცოდნე და ერუდირებულ ადამიანებს ვკითხოთ: ადამიანებო, გაფიცებთ კაცობას, ჰომოსექსუალურობა მართლა სექსუალური ორიენტაცია გგონიათ? კაცს რომ კაცთან მოუნდება ჟიმაობა, ნორმალურია ეს? წვერულვაშა კაცს მასავით წვერ-ულვაშგაწკეპილი კაცი ქალი რომ ჰგონია და მისი გაუპატიურების სურვილი ჰკლავს, ორიენტაციაა ეს? თუ ავადმყოფობაა? გვიპასუხეთ ერთი?

კაცს თუ თავი ნაპოლეონი, იულიუს კეისარი, მაკედონელი ან შექსპირი ჰგონია, ავადმყოფია და მაგრამ კაცს თუ თავი ქალად მიაჩნია, ან ქალს კაცად, ეს ჩვეულებრივი ორიენტაციაა, ხომ?

კარგით! ვთქვათ არსებობს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციები და ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება; კი, მაგრამ, რატომ ითვლება დანაშაულად კაციჭამიობა? განა ეს „კულინარიული ორიენტაცია“ არ არის? ნეოლიბერალების აზრით, რა თქმა უნდა!

უკვე დავრწმუნდი, რომ ნეოლიბერალებსა და მათ გავლენაში მყოფ ადამიანებთან კამათსა, თუ მსჯელობას ზოგადადამიანურ ღირებულებებსა თუ ზნეობრივ ნორმებზე არავითარი აზრი არ აქვს. ესენი ან თვითონ არიან ავადმყოფები, ან რაღაც დიდი გამორჩენის სანაცვლოდ თავს ისულელებენ და ავადმყოფობის აპოლოგეტებად გვევლინებიან. მხოლოდ აპოლოგეტებად კი არა, სნეულების პროპაგანდისტებადაც!

ხალხს ქუჩაში, ამიტომ, ეს მხოლოდ წყლის ნაყვაა. „ქართულმა ოცნებამ“ კი უნდა გამოიჩინოს ტოლერანტობა და საერთო აზრი გამონახოს ოპოზიციასთან. პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ასოცირებული ქვეყნის წევრობაც კი, ანდა გაგვიუქმონ უვიზო მიმოსვლაც. ასეთმა პოლარიზებულმა გარემომ შეიძლება ეს საკითხი დააჩქაროს.

— ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ ქვეყანაში პოლარიზაციის ხარისხი შემცირდება იმ შემთხვევაში, თუკი ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან წავა, ხოლო „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში თანამდებობრივად დაბრუნდება და გარკვეულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც აიღებს საკუთარ თავზე. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

— ქართულ პოლიტიკას ქარიზმატული ლიდერები სჭირდება. არა აქვს მნიშვნელობა სააკაშვილი იქნება, ივანიშვილი, გამსახურდია თუ შევარდნაძე. სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე მარტო არ არის საუბარი, მან საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს და აღიაროს ის დანაშაულები, რაც ჩაიდინა. ხალხი ისევ ელოდება ივანიშვილს, რადგან სხვა, ქარიზმატული ლიდერები არ არსებობენ.

— რაც შეეხება იმ ოთხეულს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ გამოეყო, თქვენი აზრით, ის კამპანია, რაც დეპუტატებმა წამოიწყეს, რა გავლენას იქონიებს ქვეყანაში არსებულ განწყობებზე?

— ვშიშობ, რომ ისინი გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. თანდათან, ანტიდასავლური და ანტიამერიკული სენტიმენტები ფეხს იკიდებენ საქართველოში, რაც ძალიან ცუდია. ისინი ყიდიან „ფეიქნიუსის“ პროდუქციას, რაც განსაკუთრებით მოქმედებს დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე სოციუმზე. მათ შეუძლიათ გარკვეულწილად შექმნან ამინდი, ანტიდასავლური და ანტიამერიკული სენტიმენტების მიმართულებით. ამაზე მუშაობს მოსკოვიც და ამ ორი ელემენტის უნებლიეთ გაერთიანება ამ პროცესს ხელს უწყობს. დღეს ამერიკის გეოპოლიტიკური სიძლიერე ცოტა შესუსტებულია ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის პირობებში. ეს ფაქტორი მოქმედებს ჩვენს რეგიონშიც.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

ალარაფერს ვიტყვი აშშ-ის ახლანდელ პრეზიდენტ ბაიდენსა და მის ვაჟიშვილზე (თუ ქალიშვილზე?).

ეს ავადმყოფები, თუ ავადმყოფობის აპოლოგეტები, რომლებსაც კაცთან კაცის ჟიმაობა ორიენტაცია ჰგონიათ, მსოფლიოს სუპერსახელმწიფოს ყოფილი თუ ახლანდელი ლიდერები არიან და, რა თქმა უნდა, მათი საქმე და საქციელი ბევრად უფრო მომხიბლავი და მისაბაძია ბრიყვი ახალგაზრდისა თუ ასაკოვანი რეგვენისთვის, ვიდრე მისი ჯანმრთელი მევენახე, თუ მწყესი მამა-პაპის აზრი და გარჯა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ისეთი დღემდე წარმატებული ქვეყნების პირველ კაცებს ჰომოსექსუალიზმი უბრალოდ განსხვავებული ორიენტაცია ეგონოთ და არა ავადმყოფობა, რაც თავისი არსით ადამიანის ჯიშ-ჯილაგის გადაშენებას მოასწავებს, რადგან ორი კაცის ერთმანეთთან ჟიმაობისა თუ ორი ქალის ურთიერთხახუნის შედეგად შთამომავლობა გაჩენილიყოს სადმე. ის კი არა, საფრანგეთის პრეზიდენტივით ოცდაშვიდი წლით უფროს ქალს თუ შეირთავ, შენი პიველი კლასის მასწავლებელიც რომ იყოს, შთამომავლობა არც მაშინ გაჩნდება, ბუნებას თავისი კანონები აქვს და უფლის ნებაზეა დამოკიდებული ამ კანონების მოქმედება, თორემ ემანუელ მაკრონისა და ბორის ჯონსონის აქტივობებს, შოლცისა და ბაიდენის ძალისხმევაც რომ დაემატოს, ვერც გვალვას აღკვეთავენ, ვერც წყალდიდობებსა თუ ხანძრებს, რამაც ლამისაა გააუდაბნოოს ევროპა.

აბა, რა უნდა ამ კოლექტიურ დასავლეთს, რატომ ცდილობს რომ ჩვენ ყველას გვაღიარებინოს „განსახვავებული ორიენტაციების“ არსებობა და მისი ნორმალურ მოვლენად მიჩნევა?

„დასავლეთს“-მეთქი რომ ვამბობ, დასავლეთისა და აშშ-ის უმაღლეს პოლიტიკურ ელიტას ვგულისხმობ, თორემ ჩვეულებრივი რიგითი ადამიანები იქაც ჩვეულებრივი რიგითი ადამიანები არიან. ასე რომ არ იყოს, როდესაც საფრანგეთის ხელისუფლება ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონს იღებდა, მილიონიანი საპროტესტო დემონსტრაცია არ გაიმართებოდა პარიზში, ერთმა ფრანგმა მწერალმა კი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წნ თავი მოიკლა, მაგრამ ის ანტიადამიანური კანონი მაინც მიიღო საფრანგეთის ხელისუფლებამ (აი, ამას მოჰყვა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის დაწვა, რაც ღვთის რისხვა იყო, უთუოდ, თუმცა ამ რისხვამ საფრანგეთის პოლიტელიტა ჭკუაზე მაინც ვერ მოიყვანა!).

ისევ ზემოთ დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ: რა უნდა ლგბტ-ს აპოლოგეტ დასავლეთს ჩვენგან? ვინც გეოპოლიტიკურ ისტორიულ გამოცდილებაში ასე თუ ისე გარკვეულია, მისთვის პასუხი ნათელია: მათ სურთ ხალხის მასობრივი გადაშენება, რათა ის „ნანატრი“ ოქროს მილიარდი მიიღონ!

კულტურული დასავლეთის პოლიტელიტამ ბევრი რამე იცის: პროპაგანდის სუპერტექნოლოგიები, მასების ცნობიერების მანიპულაციის ფსიქოსოციალური მექანიზმები, მოსყიდვა-გადაბირების მეთოდები და ა. შ. მაგრამ, საბედნიეროდ, ბევრი რამეც არ იციან. რაც მთავარია, არ იციან ის, რომ რაც არ არსებობს, იმის შესახებ რაიმე ცოდნას ვერ მისცემ ადამიანს, შეიძლება ყალბი ინფორმაცია მისთვის სარწმუნო და დამაჯერებელი გახადო, მაგრამ ამ ყალბი „ცოდნის“ რეალიზაცია სრულიად შეუძლებელია. ისე, რომ იმ დასავლურმა „პოლიტელიტამ“ ევროპა შეიძლება დაარწმუნოს იმაში, რომ განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია მართლა არსებობს, მაგრამ ეს იქნება არ იმ არარეალური მოვლენის შესახებ ცოდნის მიღება, არამედ ჭეშმარიტი ზნეობრივი ორიენტაციის დაკარგვა. ზნეობრივი ორიენტაციადაკარგული თაობა რომ მოვა ხელისუფლებაში, მათი სახელმწიფოებრივი ხომალდი უმართავი გახდება ისტორიის ბობოქარ ოკეანეში და დასაღუპავად იქნება განწირული, რადგან ზნეობრივი „ნავიგაციის“ ცოდნა არ ექნება არავის.

წინასწარმეტყველური ნოველა დაწერა დიდმა ფრანგმა მწერალმა მე-19 საუკუნეში — „ტამანგო“. ამ ნოველის სიუჟეტი მარტივია, მისი პერსონაჟების ბედი კი ტრაგიკული. აი, ასეთი: მონებით სავსე ხომალდზე შუა ოკეანეში აჯანყება მოხდა. მონებმა ხომალდი ხელთ იგდეს და ეკიპაჟის ყველა წევრი ზღვაში გადაუძახეს . აჯანყების მეთაური ტამანგი საჭესთან დადგა და ხომალდი „ნათელი მომავლისაკენ“ წაიყვანა, მაგრამ არც მას და არც მის „გამარჯვებულ“ ამხანაგებს ნავიგაციაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. მალე ოკეანე აბოგოქრდა და „გამარჯვებული“ ტამანგო და მისი მიმდევრები ბობოქარმა ტალღებმა შთანთქეს.

ეს ბედი ელის ყალბ „ორიენტაციას“ ადევნებულ ხალხებსა და სახელმწიფოებს, რადგან უზნეო „ორიენტაციის“ შესაბამისი სვლა-გეზი მიდის მხოლოდ ერთი მიმართულებით — არყოფნისკენ.

„ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔᲨᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ?“

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ?!

„როგორ ცხოვრობთ? რას აკეთებთ დღის განმავლობაში? სად ერთობით? რა გაცვიათ? რას უსმენთ? ფეხბურთს უყურებთ? აა, თქვენ ოჩამჩირეში ინტერნეტი გაქვთ?!“, — ქეთი კობიაშვილმა ბევრი არაფერი იცოდა, რა ხდებოდა გამყოფი ხაზის მიღმა და ყველაფერი აინტერესებდა. აფხაზ თანატოლებს პირველად 10 წლის წინ შეხვდა.

მაშინ პროექტმა „ახალგაზრდა ქალები მშვიდობისთვის“, 15-15 ახალგაზრდა ქალი აფხაზეთიდან და დანარჩენი საქართველოდან ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში შეკრიბა.

ასეთი შეხვედრების პროგრამა, როგორც წესი, თითქმის არასდროს ითვალისწინებს ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური კონფლიქტის განხილვებს, მაგრამ ტრენინგის მონაწილეები წარსულზე საუბარს ვერ გაურბიან. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, ქეთი ერთი წლის იყო. აფხაზებთან სამოქალაქო დიალოგში როდესაც ჩაერთო — 21-ის. სულ პირველი „დიალოგი“ ემოციურად იმდენად რთული აღმოჩნდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დასრულდებოდა. ახსოვს, ყველი მორიგი შეხვედრის შემდეგ თავის თავს

ეკითხებოდა — „კი მაგრამ, რას ვაკეთებ აქ?“.

„ერევანი-თბილისის მთელი გზა ჩუმად ვიჯექი. ძალიან რთული იყო იმ ყველაფრის არა მარგო მოსმენა, არამედ მიღება. თავიდან ემპათიური განწყობით ვიყავი, ძალიან შემტკიოდა გული, რაღაც დანაშაულის განცდაც გამიჩნდა, როგორც მოქალაქეს. ასევე, გამიჩნდა ბრაზიც, თუკი მე მაქვს დანაშაულის გრძნობა და განვიცდი ამ ომს, რატომ ვერ ვხედავ ამას მეორე მხარისგან?“, — იხსენებს ქეთი და ცდილობს, ახსნას, მიუხედავად მძიმე ემოციური გამოცდილებისა, რამდენად მნიშვნელოვანია ერთმანეთთან ლაპარაკი.

ᲠᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ?

თუ ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისთვის იმართება, შეიძლება ამბების ეთიკურად გაშუქებაზე ან ციფრული მეთოდების გამოყენებაზე ილაპარაკონ.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტში, სადაც ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტის განსახილველად სამოქალაქო აქტივისტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და ჟურნალისტები ხვდებოდნენ ერთმანეთს, განსახილველი თემა უშუალოდ კონფლიქტი და მისი განვითარების ქრონოლოგია იყო. დიალოგის მონაწილეებმა „თაიმლაინზე“ — დროის ხაზის გასწვრივ ის მნიშვნელოვანი მოვლენები ჩამოწერეს, რის გამოც, მათი აზრით, ესკალაცია მოხდა.

აფხაზურმა მხარემ, მაგალითად, დაიწყო განსახლების პოლიტიკით მე-19 საუკუნის დასასრულს (იგულისხმება საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლიდან მოსახლეობის ჩასახლება), შემდეგ იყო პოლიტიკური რეპრესიები და აფხაზების უფლებების შელახვა 1937-1953 წლებში და, რა თქმა უნდა, ლათის ტრაგედიაც, როდესაც 1992 წლის 14 დეკემბერს ტყვარჩელის რაიონის სოფელ აკუარჩაპანიდან აფრენილი რუსეთის შეიარაღებული ძალების MI-8 ტიპის ვერტმფრენი, გულრიფშის რაიონის სოფელ ლათასთან ქართველმა მებრძოლებმა ჩამოადგეს.

ვერტმფრენს, ტყვარჩელიდან გუდაუთაში 82 ადამიანი გადაჰყავდა. მათ შორის, 35 ბავშვი და 30 ქალი. ყველა მგზავრი ადგილზე დაიღუპა.

ოსური „თაიმლაინი“ ასე გამოიყურებოდა: საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტება და მისი როლი კონფლიქტის ესკალაციაში, 1991 წელს საბჭოთა ჯარის გასვლა სამხრეთ ოსეთიდან, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტება 2004 წელს, ერგნეთის ბაზრის დახურვა, 2008 წლის ომი...

ქართველი მონაწილეების წრფივი დიდწილად თვითკრიტიკაზე იყო აგებული — იწყებოდა 1940-იან წლებში ახალი დასახლებების გაჩენით აფხაზეთში, შემდეგ იყო 1989 წლის დაპირისპირება აფხაზეთის უნივერსიტეტში ეთნიკურად ქართველებსა და აფხაზებს შორის, სამხედრო ორგანიზაცია „მხედრიონის“, ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის კრიტიკა. 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომის შედეგად 200 000-ზე მეტი ქართველის იძულებით გამოსახლება და ახალი დევნილები 2008 წლის ომის შემდეგ. ასევე გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების დისკრიმინაცია და მათი უფლებრივი მდგომარეობა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული რუსული სამხედრო ბაზებიდან წამოსული საფრთხე, მცოცავი ოკუპაცია, ადამიანთა გატაცებები გამყოფი ხაზიდან, ტატუნაშვილი-ოთხოზორიას მკვლელობები.

„ქართველებთან შეხვედრაზე ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს სამშობლოს ვღალატობდი. ადამიანები ვართ და ბუნებრივია, ერთმანეთს დავუახლოვდით, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებულ მხარეზე ვიდექით და ვდგავართ. ჩვენი საზოგადოებისთვის ქართველებთან ყოველგვარი კავშირი დღემდე მტკივნეულია. დედას, რომელსაც ომში შვილი დაეღუპა, რთულია, აუხსნა, რაზე ელაპარაკები ქართველებს ევროპისა თუ აზიის ქვეყნის რომელიღაც სასტუმროში“, — ანონიმურობის დაცვის გარანტიით გვითხრა სოხუმელმა იზიდამ (სახელი შეცვლილია).

სამოქალაქო დიალოგის შეხვედრებს ყოველთვის საერთაშორისო ორგანიზაციები ატარებენ. დაფინანსებაც საერთაშორისო დონორებისაა. კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ადამიანები ერთმანეთს უცხო ქვეყანაში ხვდებიან — ეს შეიძლება იყოს თურქეთი, სომხეთი, სერბეთი, მონტენეგრო, დიდი ბრიტანეთი, იტალია, არაბთა გაერთიანებული საამიროები.

„ხშირად ამბობენ, რომ მოდი, დავანებოთ თავი წარსულს და დავიწყოთ ყველაფერი ნულიდან, მაგრამ მგონია, რომ წარსულთან მუშაობა მნიშვნელოვანია და აუცილებელიც, რადგან თუ ამ მტკივნეულ წარსულზე არ ვსაუბრობთ, ის თავისით არ ქრება და ტრავმულ გამოცდილებად გადაეცემა თაობიდან თაობას. როდესაც კონფლიქტით დაშორებულ საზოგადოებებს თითქმის არ აქვთ კომუნიკაცია, ისინი ცალცალკე იხარშებიან თავიანთ ტკივილში, ისტორიები მხოლოდ ცალმხრივი პერსპექტივიდან არის და სივრცე ჩნდება მითებისთვისაც“, — ამბობს ბერგჰოფის ფონდის პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი მარიამ ცხოვრებაშვილი.

მარიამი თავიდან ბერგჰოფის ფონდის ორგანიზებული შეხვედრების მონაწილე იყო. გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ რეგიონში მუშაობს, მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც და მისი მიზანი მშვიდობის აღდგენაა.

„არათუ მეორე მხარეს მცხოვრებ ადამიანებზე, არამედ ჩვენს დევნილებზე არ ვიცით ბევრი რამ — რისი გადატანა მოუწიათ ომის დროს, მის შემდეგ და დღემდე უწევთ ომის შედეგების თავიანთი მხრებით ზიდვა?“, — ამბობს მარიამი.

კორონავირუსის პანდემიის შემდეგ ბერგჰოფის ფონდის შეხვედრებმა ონლაინ, ზუმში გადაინაცვლა. მონაწილეები ისმენენ და განიხილავენ ეთნიკურად ქართველი, აფხაზი და ოსი ადამიანების ბიოგრაფიულ აუდიოინტერვიუებს, რომლებსაც ფონდი იწერს — ეს არის კონფლიქტში მონაწილეთა თუ მომსწრეთა პირადი ამბები, მოგონებები. მოგონებებს და მათი თვალით დანახულ წარსულში მომხდარ მოვლენებს აღწერენ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ ᲗᲣ ᲤᲐᲠᲡᲘ?

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ და ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგი 1996-1997 წლებიდან დაიწყო და ყველაზე ხშირად შეხვედრები 1997-დან 2008 წლამდე იმართებოდა.

1994 წელს, გაეროს ეგიდით, ხელი მოეწერა ე.წ. მოსკოვის ხელშეკრულებებს — პოლიტიკურ შეთანხმებას დევნილთა დაბრუნებასა და აფხაზეთში სამშვიდობო ძალების განლაგებაზე. შეთანხმება მაშინ მხოლოდ ნაწილობრივ, და ისე შესრულდა, როგორც მოსკოვს აძლევდა ხელს — იძულებით გადაადგილებული პირები თავიანთ სახლებში ვერ დაბრუნდნენ, კონფლიქტის ზონაში კი რუსი სამშვიდობოები ჩადგნენ და კონფლიქტი „გაყინეს“.

„სამოქალაქო დიალოგის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი მაინც ის არის, რომ 30 წლის მერეც ადამიანებს შორის გარკვეული კონტაქტები არსებობს. უმნიშვნელოვანესია, რომ ამ დიალოგის ფორმატებმა შესაძლებლობა მისცა საზოგადოებებს, უკეთ გაეგოთ ერთმანეთისთვის. დღეს ამ დიალოგების შედეგი შეიძლება ასე ხელშესახებად არ ჩანდეს, თუმცა ჩვენ, ამ პროცესში ჩართული ადამიანები, კარგად ვგრძნობთ და კარგად ვხედავთ ამ შეხვედრების ღირებულებას“, — ამბობს ელიკო ბენდელიანი. ის არაფორმალურ დიალოგში 2007 წლიდან მონაწილეობს. დღეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტს“ წარმოადგენს.

„შედეგები იყო ის, რომ სამოქალაქო დიალოგი ყოველთვის ხელს უწყობდა პოლიტიკოსებს, ჰქონოდათ უტყუარი ინფორმაცია, რა ხდება ქართულ თუ აფხაზურ საზოგადოებებში, რა საკითხები განიხილება, რა თემებია მისაღები, რა მიუღებელი“, — გვიხსნის კონფლიქტოლოგი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ სამოქალაქო დიალოგში იმთავითვე მონაწილეობდა.

„საზოგადოება გაიხლიჩა შუაზე, ინფორმაცია არ არსებობს, არსებობს მხოლოდ პროპაგანდა, როგორც ანტიაფხაზური ქართული, ისე ანტიქართული რუსული პროპაგანდა, ისე აფხაზური პროპაგანდა ანტიქართული და ასეთი შეხვედრები არღვევენ, ანგრევენ პროპაგანდის მიერ დადგენილ გარკვეულ საზღვრებსა და შტამპებს. დაინტერესებული ადამიანები, ექსპერტები, სპეციალისტები, პოლიტიკოსები მეტ-ნაკლებად უტყუარ ინფორმაციას იღებდნენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა თბილისსა და სოხუმში და ამას თავიანთ პოლიტიკაში იყენებდნენ“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

ელიკო ბენდელიანი იხსენებს, რომ „კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულების შემდეგ ბევრად უფრო ინტენსიური შეხვედრები იყო. მათ შორის, პოლიტიკოსები ხვდებოდნენ ერთმანეთს არაფორმალურ შეხვედრებში. 1997 წელს ვლადისლავ არძინბა იყო თბილისში და ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. 2000-იან წლებში სერგეი შამბა ჩამოვიდა“.

დიალოგის მეტ-ნაკლებად წარმატებულ მაგალითებს შორის ასახელებენ კალიფორნიის უნივერსიტეტის საჯარო პროექტს, რომლის ფარგლებში ქართულმა მხარემ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ დოკუმენტი მოამზადა. დოკუმენტი 2004 წელს გამოქვეყნდა.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროექტიდან ამოიზარდა ე.წ. შლაინინგის პროცესი, სადაც პოლიტიკოსები იყვნენ ჩართულნი, ორივე პროექტი 2008 წელს გაჩერდა, თუმცა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ მხარეებს შორის დიალოგს პრობლემები გაცილებით ადრე შეექმნა.

ᲘᲮ. 8 ᲒᲕ.

ძალაუფლება

მასწავლებელთა წოდების წყალობით, რომელი წოდებაც მაზრაში დაცულია როგორც რომ მატერიალურად, ისე სულიერად, ქვეყნის განათლების განვითარება იმ დონემდე ხდება, რაიც აუცილებელია სახელმწიფოსთვის და ამასთანავე ხდება ტრადიციებშიც, ამ ტრადიციების მიზანთა შესაბამისად.

* * *

ვინაიდან უმწეობისა და შიშის გრძნობა ესოდენ ხანგრძლივ და თითქმის განუწყვეტელ დაძაბულობაში იყო, ადამიანთ ძალაუფლების ისეთი ფაქიზი და სათუთი გრძნობაა, როგორიც რომ მგრძნობიარე სასწორია ოქროს ასაწონად.

* * *

ჩვენი მოვალეობანი სხვათათვის ჩვენზე უფლებათა ქონაა.

* * *

ჩემი უფლებები ჩემი ძალაუფლების ის ნაწილია, რაიც სხვა ადამიანთ არა მარტო მომცეს, არამედ რომელშიც იმათ ჩემი დანახვა უნდათ.

* * *

უკეთუ ჩვენი ძალაუფლება ირყევა და ეცემა, ჩვენი უფლებები ერთბაშად ქრება; და პირიქით, უკეთუ ჩვენ გაცილებით ძლიერნი ვხდებით, ეგრევე ქრება სხვათა უფლებების ქონა ჩვენზე.

* * *

თუმცაღა სარგებელი და პატივმოყვარეობა ცალკეულ პიროვნებათა და ხალხებისა თავიანთ გავლენას ახდენენ დიდ პოლიტიკურ სამყაროში, ოღონდ ის ძლიერი ნაკადი, პიროვნებებსაც და ხალხებსაც წინ რომ მიერეკება, არის მაინც ძალაუფლების მოთხოვნის გრძნობა, რაიც გარეთ გამოიღწევა არა მარტოოდენ ხელმწიფეთა სულში, არამედ დროდადრო წყაროებრ ჩქეფს მდაბიოთა სულშიც, ხალხის უმდაბლეს ფენას რომ განეკუთვნებიან, იმათ სულში.

* * *

უკეთუ მავანი ძალაუფლების გრძნობით ტკბება, იგი თავს კარგად გრძნობს და თავის თავსაც კარგს ეძახის, ესეგვარ შემთხვევაში სხვანი, ვისზეც მან თავისი ძალაუფლება უნდა გაავრცელოს, ისინი იმას გრძნობენ და მოიხსენიებენ სულელად.

* * *

„დანაშაულს“ მუდამ იქ ეძებენ, სადაც წარუმატებლობაა, რამეთუ იმას გულგატეხილობა მოაქვს, რის წინააღმდეგაც უნებურად ერთადერთი საშუალება გამოიყენება – ახალი გრძნობა, ძალაუფლებისადმი ლტოლვას რომ აფხიზლებს....

* * *

„სახელიანი პაციენტი“ გარეგნობა იმაში ვლინდება, რომ იმის სხეულში ძალაუფლების შეგნება მუდამ ათასგვარ რამ სიამით აღსავსე თამაშს თამაშობს.

კეთილშობილი ადამიანი – კაციც და ქალიც, თავის თავს სკამზე სრული მოწყვეტით დაცემის ნებას არ აძლევს, კეთილშობილი ადამიანები ულამაზეს მოძრაობებს მაშინაც კი გაურბიან, როს სუყველანი მოხერხებულად მოწყობას ცდილობენ!..

* * *

საშუალებანი შეიცვალა, მაგრამ ვულკანი თუხთუხს განაგრძობს; მოუთმენლობა და მგზნებარე სიყვარული მსხვერპლს ითხოვენ და რაც რამ ადრე „ღვთის გულისთვის“ ხდებოდა, ახლა „ფულის გულისთვის“ კეთდება, ანუ იმის გულისთვის, რომ შესაძლებელია ამჟამად ძალაუფლების გრძნობისა და სუფთა სინდისის ხორცშესხმა.

ფილოსოფია. ფილოსოფოსები

არსებობენ სამი სახეობის მინერალური წყაროები: ამომჩქეფარებულები, გამდინარე და წვეთ-წვეთ წარმომდინარი; ამ სახეობათა შესაბამისად არსებობენ სამი სახის მოაზროვნენი, უმეცარი ამ წყაროებს აფასებს წყლის ოდენობის მიხედვით, მცოდნე კი იმის მიხედვით, რა არის იმ წყაროებში თვინიერ წყლისა.

* * *

ფილოსოფიური გონება იმით განსხვავდება არაფილოსოფიური გონებისგან, რომ ფილოსოფიურ გოენბას არა სწამს ზნეობის მეტაფიზიკური არსებობა.

* * *

თვით დიდ მხატვარ-მოაზროვნეთა ხელიდან გამოდის მხოლოდ რომელიმე ერთი განსაკუთრებული ცხოვრების სურათები, სახელდობრ თავიანთი ცხხოვრების სურათები, დანარჩენი მაინც ყოველთვის რჩებოდა იმათთვის შეუძლებელი.

* * *

იმ ყველაფრისგან, რის თქმაც მოაზროვნეს მხატვრისთვის ძალუძს, ყოვლის უფრორე სამწუხარო ერთი ცნობილი სიტყვა – გამეორება შეიცავს: „არ შეგიძლიათ ჩემთან ერთად თუნდაც ერთი საათი გაიმხნეოთ თავი?“

* * *

წრე უნდა აღიწეროს, მაგრამ სყოველი ფილოსოფოსი, თუნდაც დიდი ფილოსოფოსი; მტკიცედ დგას ოდენ წრეწირის საკუთარი თვალსაზრისზე სიჯიუტის ისეთი ულმობელი სახის გამომეტყველებით, თითქოს წრე არცროდის არ შეიკვრება.

* * *

აზრის უდაბურობა და სიცივე, ვნებათა ხანძარი და გაცივებული გული – აი, იმ თავისებურებათა საზიზღარი ნაზავი, რა თავისებურებებსაც ვნახულობთ თანამედროვე ევროპული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებში.

* * *

განა არის რამე უფრორე მეტად კადნიერი, თავზარდამცემი და დაუჯერებელი, ვიდრე ჰომეროსის აზრი, რაიც ზამთრის მზესავით დაჰნათის კაცობრიობის ბედ-იღბალს.

* * *

ოცი წელიწადი მუშაობდა კაცი იმაზე, რომ დაერწმუნებინა თავისი თანამედროვე თავისი მოძღვრების ჭეშმარიტებაში და დაარწმუნა, მაგრამ არ თვლემდნენ იმისი მოწინააღმდეგენი – და იმასაც დაეკარგა თავისი თავის რწმენა.

* * *

იდეალისტი გამოუსწორებელია: უკეთუ იმას ციდან ჩამოვაგდებთ, ის ადგება და ჯოჯოხეთიდან შექმნის თავის იდეალს.

* * *

არიან ისეგვარი მსროლელნი, მიზანს რომ ვერ ახვედრებენ, ბარიერს იდუმალი რამ სიამაყით სცილდებიან, ვითომ იმათი ტყვია ძალიან შორს გაფრინდა... ანდა მიზანს თუ არ მოხვდა, რაღაც სხვას მაინც მოხვდა. არიან ზუსტად ესეგვარი მოაზროვნენიც.

* * *

ორიგინალური გონების ნიშანი რისამე ახლის აღმოჩენა კი არ არის, არამედ სავსებით ძველი რამის, საყოველთაოდ ცნობილის, ყველას მიერ დანახულისა და არცვის მიერ შემჩნეულის ახალი თვალსაზრისით შენიშვნაა.

* * *

სხარტი გონებანი ყოველგვარ ტრივიალურს დაშორებული, ხშირადრე პოულობენ სხვადასხვაგვარი ხრიკისა და მთის ბილიკების საშუალებით, როგორსამე ჩვეულებრივ საგანს და ძალიან მხიარულობენ ნაკლებ სხარტ გონებათა განცვიფრებისა გამო.

* * *

ასაპი, რომელშიც ფილოსოფოსი იძენს თავის მოძღვრებას, ჟღერს მასში და იგი ვერ გაექცევა იმას, როგორადაც არ უნდა ამაღლდეს საუკუნესა და დროებაზე.

* * *

არიან ფრიად მაღალნიჭიერნი, რომელნიც მხოლოდ იმიტომ რჩებიან უნაყოფონი, რაკი თავიანთი ტემპერამენტის სისუსტისა გამო ნამეტანი მოუთმენლად უდგებიან პრობლემას, ეს კი თავისი ნაყოფის გამოტანის საშუალებას არ აძლევს.

* * *

როს სხარტი გონება დუმს გაძნელებულ შემთხვევაში, უხეში გონებანი იმის დუმილს სიამაყის აშკარა ნიშნად მიიჩნევენ და ეშინიათ; ისე, იმათ ნამდვილად მოეწონებოდათ, უკეთუ მიხვდებოდნენ, რომ ეს გაძნელებული შემთხვევა იყო.

* * *

ერთმა ბერძენმა ფილოსოფოსმა მთელი ცხოვრება ისე იცხოვრა, რომ ერთი რამ იდუმალი გრძნობა გულით ატარა. წუხდა, რომ მონები ბევრად მეტნი არიან, ვიდრე ეს სინამდვილეშია – სახელდობრ, სუყოველი ადამიანი მონაა, უკეთუ ის ფილოსოფოსი არ არისო; სიამაყის გრძნობა აწვებოდა, როცა აზრად მოუვიდოდა, რომ თვით ყოვლის უფრორე ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმის მონათა სათვალავს ეკუთვნოდნენ.

* * *

მოაზროვნე თავის საქციელში ხედავს ცდილობას და ზოგიერთი რისამე განმარტების საკითხს: წარმატება და წარუმატებლობა იმისთვის უწინარესად არის კითხვებზე გაცემული პასუხები, ხოლო გულისწყრომას იმის გამო, რომ რაღაცა არ გამოუვიდა, ანდა სულაც სინანულის გრძნობას, – ამას ყოველსავე იმათ უტოვებს, ვინც რასმე იმიტომ იქმს, რაკი უბრძანეს და ვინც ელოდება გაწკეპვლას, უკეთუ გულმოწყალე ბატონი შედეგით უკმაყოფილო იქნება.

კულტურა

კულტურა მარტოოდენ ნაზი ვაშლის კანია გავარვარებული ქაოსის თავზე.

* * *

უკეთუ ადამიანები რეზინისაებრ მეტისმეტად მოქნილნი იქნებიან, მაშინ, მიუხედავად ყოვლისა, ღიად აღსრულებათა ეპოქა უმნიშვნელო ზემოქმედებათა ეპოქა აღმოჩნდება.

* * *

პოეზია მომავლის გზის მანათობელი ვარსკვლავი უნდა გახდეს, მაგრამ ამისდა მაგივრად, ის აწმყოს ხატავს და ნამყოს აცოცხლებს.

* * *

აღზრდის ყოველგვარი მერყეობა, რის წყალობითაც სუყოველი ზრდასრული ადამიანი ვარაუდობს, რომ ამის ერთადერთი აღმზრდელი შემთხვევა იყო... იმით უნდა აიხსნას, რომ ამჟამად სუოყველი კულტურული ძალა, ძველიც და ახალიც, იმდენად იმას კი არ ესწრაფვის, რომ გაგებული იყვეს, არამედ სწადია, რომ იმისი ლაპარაკი ვინმემ გაიგონოს.

* * *

როს ხალხი ვითარდება და იზრდება, მაშინ ის ქამარი, იმის ეროვნულ გარეგნობას რომ უჭერდა, წყდება, ხოლო თუ იყინება და ეცემა, იმის სულის გარშემო იქმნება ახალი ქამარი, თანდათან რომ მაგრდება და თითქოსდა ციხეს ქმნის, რომლის კედლებიც სულ ზევით და ზევით მიიწევს. უკეთუ ხალხში ბევრის სიმტკიცეა, ეს ნიშნავს, რომ ამ ხალხს გაქვავება და მონუმენტად გადაქცევა სწადს.

* * *

დიდ ადამიანთ ბუნება ხასიათის „მეტისმეტ ადამიანურ“ თვისებებს ანიჭებს, რა თვისებებიც გვგვრიან შიშს. გვადენინებენ არაერთ ცთომილებას და მივყავყართ არათანაბარშეზომილობამდე იმისთვის, რათა ამ თვისებათა ძლიერი... ზეგავლენა ადამიანებზე შეჩერდეს გარკვეულ ფარგლებში უნდობლობის წყალობით, რა უნდობლობაც აღიძვრის ისევ ამ თვისებათა უარსაყოფი თვისებრიობისა გამო.

* * *

ყოველივეს სისტემა, რაიც კაცობრიობას ეჭირვება თავისი არსებობისთვის, ამჯერად ყოვლისმომცველია და იმდენ მრავალგვაროვან და მრავალრიცხოვან ძალას ითხოვს, რომ კაცობრიობამ სულ ერთიანად ანგარიში მკაცრად უნდა გაასწოროს სუყოველი ცალმხრივი უპირატესობისთვის, მეცნიერება იქნება ის, პოლიტიკა, ხელოვნება თუ ვაჭრობა...

* * *

ისეგვარ ეპოქებში, ოდეს თვალები და ყურები სავსეა ტალახით და აღარ ესმით გონებისა და ფილოსოფიის ხმები, ვეღარ ხედავენ ცხოვრებაში ხორცშესხმულ სიბრძნეს, ეპიკურად თუ ეპიქტეტეჩ სახელდებულს – ნამდვილად აუცილებელია ჯვარცმისა და განკითხვის დღის საყვირის ხაფი ხმა იმ მიზნით, რათა გამოვაფხიზლოთ იმჟამინდელი ხალხი რამდენადმე რიგიანი არსებობისთვის.

* * *

ზოგიერთ ეპოქას, როგორც რომ ზოგიერთ ადამიანს, ჩანს, სავსებით არა ჰყოფნის ესა თუ ის ნიჭი, ესა თუ ის სათნოება, ოღონდ დაე იმან, ვისაც მოლოდინის დრო აქვს, მოილოდინოს შვილთაშვილნი და ბადიშიშვილნი – დიახაც ისინი გამოიტანენ დღის სინათლეზე თავიანთი მამა-პაპის იმ სულიერ სიღრმეებს, – რომელთა შესახებაც მამა-პაპანი აზრზედაც არ იყვნენ.

* * *

იქნებ ადამიანთ და დროებებს არცრა ისე არ თიშავს ერთმანეთისგან, როგორც რომ იმ გაჭირვების ნაირგვარობა, რასაც ისინი განიცდიან, – გაჭირვებას როგორც სულიერს, ისე ხორციელს.

* * *

ახლა ევროპელთ აქვთ ერთი რამ ილეთი, რაიც იმაში მდგომარეობს, რომ ირონიით ილაპარაკონ სუყოველ დიდ მიზანზე, რადგან მსახურებით კი მუდმივად ემსახურებიან იმ მიზნებს, მაგრამ დრო არა აქვთ, რომ სერიოზულად, საგულისოდ მიიღონ ისინი.

* * *

თანამედროვე სამყაროში შეიძლება ისეთი კულტურული საზოგადოების დანახვა, რომლის სული და გული ვაჭრობაა. ძველ ბერძენთა საზოგადოების სული და გული იყო პირადი ასპარეზობა, ხოლო რომაელთა – ომი, ძლევა და უფლება.

(გაგრძელება იქნება)

„ძალიან თავ-ხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



– ეკრე ოცყოდ ფრიდრიხ ნიცშე

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73, 76, 86, 94, 98, 108

ტოკაევი და პუტინი შაიბნენ! ჩინეთი ისევ მშვიდად არის...

ყაზახეთი ნედლი ნავთობის ნაწილის გაყიდვას აზერბაიჯანული მილსადენით რუსეთის გვერდის ავლით დაიწყებს. „REUTERS“ სანდო წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობის კომპანია „ყაზმუნაიგაზი“ (KMG) აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკართან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა წელიწადში 1.5 მილიონი ტონა ყაზახური ნედლი ნავთობის გაყიდვა შესაძლებელი გახდეს აზერბაიჯანული მილსადენით, რომელსაც ნავთობი თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანამდე გადააძვს.

„საბოლოო კონტრაქტის გაფორმება აგვისტოს ბოლოს იგეგმება და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნედლი ნავთობის გატარება ერთი თვის შემდეგ დაიწყება. წელიწადში კიდევ 3.5 მილიონი ტონა ყაზახური ნედლი ნავთობის ტრანზიტი შეიძლება დაიწყოს 2023 წელს აზერბაიჯანული მილსადენით საქართველოს შავი ზღვის სუფსის პორტამდე“, — წერს „Reuters“.



ტოკაევი დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც უდავოდ კონფლიქტს გამოიწვევს რუსულ ელიტაში, მაგრამ ამ ყველაფერს აქვს დაცვის მხარეც — ჩინეთი!..

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ივლისში ყაზახეთის პრეზიდენტმა, **კასიმ ჟომარტ-ტოკაევმა** ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, **შარლ მიშელთან** საუბარში განაცხადა, ყაზახეთი მზად არის თავისი რესურსებით დაეხმაროს ევროკავშირს ენერგეტიკულ ბაზარზე შექმნილი კრიზისის მოგვარებაში და ერთგვარად ბუფერული ბაზრის ფუნქცია შეასრულოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გარდა ამისა, საუბარი შეეხო სხვადასხვა ტრანსკონტინენტური ენერგეტიკული პროექტების განვითარებასაც, მათ შორის ტრანსკასპიური ენერგეტიკული დერეფნის გაძლიერებასაც.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნაკადებთან ერთად, მოცულობა დღეში 100 000 ბარელს გადააჭარბებს, ანუ კასპიის მილსადენის კონსორციუმის ნაკადების 8%-ს. 20 წლის განმავლობაში ყაზახური ნავთობი კასპიის მილსადენის კონსორციუმის საშუალებით რუსეთის შავი ზღვის პორტ ნოვოროსიისკში იგზავნებოდა, რომელიც უზრუნველყოფს გლობალურ ბაზარზე წვდომას.

შეგახსენებთ, რომ ივლისში რუსეთის სასამართლო კასპიის მილსადენის კონსორციუმის დახურვით დაიმუქრა, რამაც ყაზახეთის მთავრობა და უცხოელი მწარმოებლები აიძულა, სიფრთხილის მიზნით დადონ კონტრაქტები სხვა სატრანზიტო მარშრუტებთან. ოფიციალური მონაცემებით, მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ნავთობის საერთაშორისო ფასმა 14 წლიან მაქსიმუმს მიაღწია და მაღალი ფასები შენარჩუნდა. ივლისის თვეში ერთი ბარელის ფასი, საშუალოდ, 100 დოლარზე მეტი იყო.

უკრაინა-რუსეთის ომიდან 7 თვის თავზე სახიფათო გლობალურ თამაშში შევდივართ. ამ მოვლენის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძალიან ძნელია, იმდენად დიდია მისი მნიშვნელობა, მით უმეტეს ამ პირობებში, როდესაც რუსეთის სანქციების შემოვლით მიდის პროცესები და მით უფრო, როდესაც ამ პროცესებში წამყვან როლს ასრულებს ყაზახეთი.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** იხსენებს, რომ საქართველომ ასეთი რისკი ერთხელ უკვე გაიარა, როდესაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ხაზი ჩაირთო, მაშინ შევარდნაძე კრემლიდან გააფრთხილეს, რომ ამას კრემლი რეაგირების გარეშე არ დატოვებდა, რასაც რამოდენიმე დღეში მოჰყვა ტერაქტი შევარდნაძის წინააღმდეგ. მისი თქმით, ამ მხრივ არის სახიფათო ეს მოვლენა და, თუკი რუსეთმა გადაწყვიტა ამ მოვლენის გამო ანგარიში გაუსწოროს სხვებს, შეიძლება კონკრეტული პიროვნებების სიცოცხლე დადგეს დარტყმის ქვეშ.

„ამ შემთხვევაში ეს უფრო ეხება ტოკაევს, რადგან მან ისედაც ბევრი რამის უფლება მისცა თავის თავს, ძალიან მძაფრად დაუპირისპირდა მის უდიდებულესობა პუტინს, რომელიც აშკარად არ შეარჩენდა ამ სიტყვიერ დაპირისპირებასაც კი. ტოკაევმა სიტყვიერი დაპირისპირება არ იკმარა და დგამს ისეთ კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც უდავოდ უკმაყოფილებას გამოიწვევს რუსულ ელიტაში. მაგრამ ამ ყველაფერს კიდევ აქვს მეორე მხარე, თუ შეიძლება ითქვას, დაცვის მხარე, რომელიც იბრძოლებს იმისთვის, რომ ამ ხაზს არაფერი დაემუქროს და მით უმეტეს ტოკაევს და სხვა მონაწილე პირებს — ეს არის ჩინეთი. სავარაუდოა, რომ ჩინეთი შეასრულებს იმ მეხამრიდის როლს, რომელიც ამ პროექტს ავად თუ კარგად გადაარჩენს“, — აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

პოლიტოლოგის განცხადებით, ასეთი პროექტი გაზრდის ჩინეთის პოტენციალს, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე, ზოგადად, სატრანზიტო ხაზების თვალსაზრისით.

„ჩინეთი დაინტერესებულია სატრანზიტო ხაზების გამართვით. ანალოგიურად, ეს ნაბიჯი ტოკაევის მხრიდან შეიძლება ჩინეთისთვის პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც იყოს საინტერესო. ასეთი პროგნოზის გაკეთების დროს, გავითვალისწინოთ, რომ ჩინეთი არის ის, ვინც რუსეთს ხელი შეუშალა ყაზახეთში დესტაბილიზაციისთვის, როდესაც ყაზახეთში შეიყვანეს ჯარები და მერე ძალიან ჩქარა გამოიყვანეს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ყაზახეთიდან რუსული ჯარების სწრაფი გაყვანა სწორედ ჩინეთის მოთხოვნით იყო გაკეთებული. რუსებმა მაშინ ჩინეთის ეს პრეტენზია შეასრულეს. ამიტომ, აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში ამ პროექტს თავისი მოწინააღმდეგებიც ეყოლება და მომხრეებიც“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

რაც შეეხება საქართველოს ჩართულობას და საფრთხეს, ექსპერტი **ვაჟა ბერიძე** ამბობს, რომ ჩვენი გეპოლიტიკური მდებარეობის და მნიშვნელობის გამო, უკვე ვართ გლობალურ თამაშში, რაც დიდი სიკეთეც არის და ამავე დროს დიდი ხიფათიც. რაც შეეხება ტოკაევის გადაწყვეტილებას, ყაზახეთს აქტიურად უნდა ევროპის ბაზარზე შესვლა თავისი წიაღისეულით და რასაც არ მიესალმება რუსეთი. ეს გამოიწვევს რუსეთის ხელმძღვანელობის გაღიზიანებას და განაწყობს აგრესიულად აზერბაიჯანის და იმ ქვეყნების მიმართ, სადაც უნდა გაიაროს ამ წიაღისეულმა.

„როგორც ჩანს, ამ წიაღისეულის ნაწილი საქართველოს და აზერბაიჯანის გავლით ჩავა გაივლის თურქეთში და ა.შ. ამიტომ, რუსეთის გაღიზიანება გარდაუვალია. ვნახეთ, რომ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არის პუტინისა და ტოკაევს შორის, რამაც დაძაბულობა შექმნა ამ ქვეყნებს შორის. ტოკაევმა პრინციპული პოზიცია დაადასტურა ლუგანსკის და დონეცკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ეს დაძაბულობა ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს.

მაგრამ თამაში იმდენად დიდია, რომ საქართველოს როლი და მონაწილეობა ყოველთვის სასწორზე დევს და იდება. რეალურად, ჩვენ უშეცდომო ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რაც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას გაუჭირდება, რამდენადაც ამ ხელისუფლების სიმყარე გვარიანად არის შერყეული უკრაინის მოვლენების ფონზე და დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების კონტექსტის გათვალისწინებით.

ჩვენ ყველა შემთხვევაში უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები და სათანადო დიპლომატიური აქტიურობა უნდა განვახორციელოთ, რათა ევროკავშირმა და დასავლეთმა ჩვენი ჩართულობა მიიღოს, უზრუნველყოს და მხარი დაგვიჭიროს. შანსი იმისა, რომ ეს ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დალაგდება, არის 50-50-ზე. ვნახოთ, რა გამოვა საბოლოო ჯამში. ახლა მთავარია დაველოდოთ და არ გადავდგათ მცდარი ნაბიჯები“, — აღნიშნა **ვაჟა ბერიძემ.**

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

„ოჩამჩირეში ინტერნეტი გაქვთ?“

რა ხდება, როდესაც აფხაზები და ქართველები ერთმანეთს ხვდებიან?!

(მეექვსე გვერდიდან)

„2004 წლიდან, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ მოდის ხელისუფლებაში, პროცესები ჩერდება. აშკარად ჩანდა, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა დაიწყეს უარის თქმა ამ პლატფორმაში მონაწილეობაზე და, სამწუხაროდ, 2008 წელიც მოვიდა. „ქართული ოცნება“ დაინტერესებული არაა დიალოგს შეუწყოს ხელი, მაგრამ არც უშლის. „ნაციონალური მოძრაობა“ ხელს უშლიდა“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

„ეს სამოქალაქო დიალოგი ფარსად იქცა მრავალი წელი“, — დარწმუნებულია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი და ამჟამად ოპოზიციური პარტია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბოკერია.

„საერთო ჯამში, ძალიან ნეგატიურად ვიყავი და ვარ განწყობილი და ჩემმა მონაწილეობამაც ეს დამიდასტურა... მე ავტომატურად არ შემაქვს ეჭვი იმ ადამიანების გულწრფელობაში, ვისაც სჯერა, მაგრამ შედეგი ამ ყველაფრის იყო არა რეალურად დაახლოება და „შერიგება“, არამედ სიმულაციის შექმნა, რომელსაც საკმაოდ ეფექტურად იყენებდა რუსეთი მთელი ამ წლების განმავლობაში, იმიტომ, რომ ეს იყო ერთ-ერთი მიმართულება, რომ საკუთარი პასუხისმგებლობისგან ფოკუსი გადასულიყო“, — ამბობს ბოკერია და, მისი აზრით, დიალოგის კიდევ ერთ პრობლემაზე — „ძალიან მძიმე მორალურ კომპრომისზე“ ამახვილებს ყურადღებას:

„დიალოგის გამო უნდა დავივიწყოთ არა მარტო ის, თუ რა მოხდა 90-იანებში აფხაზეთში ეთნიკური ნიშნით რუსეთის მიერ კონტროლირებადი დაჯგუფებების მხრიდან, არამედ რა ხდება მიმდინარე ამბებში, მაგალითად, რაც გალში ხდება, სადაც არის დემონსტრაციულად ეთნიკური ნაციონალისტური მიდგომა. ეს ყველაფერი ხდება ლაივ რეჟიმში და ჩვენ ვაგრძელებთ „დიალოგს“, სადაც ამ საკითხებთან დაკავშირებით არაფერს მნიშვნელობა არ აქვს“.

ბოკერიას პარტია დღეს აფხაზეთში ქართველთა გენოციდის აღიარების მოთხოვნით საინფორმაციო კამპანიაშია ჩართული და ხელმოწერებს აგროვებს.

სამოქალაქო დიალოგის გაგრძელების გარდაუვალობაზე საუბრობს პაატა ზაქარეიშვილი:

„მით უმეტეს, უკრაინაში მიმდინარე პროცესები შემაშფოთებელია არა მარტო საქართველოს, არამედ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვისაც. ამიტომ ამ ფორმის დიალოგები ვერ აიკრძალება. თუ შეხვედრები აიკრძალება, არსებობს ინტერნეტი და უამრავი სხვა ფორმები“.

„ვერასდროს მივხვდებით, რა უნდა გავაკეთოთ, სანამ არ მივხვდებით, რა ტრიალებს ამ ხალხის გულში და ამ ხალხში ვგულისხმობ ყველას — ჩვენ, აფხაზებს, დევნილებს, გალელებს. სრულიად გაუცხოებული ხალხი ვართ. იმდენად არ ვიცნობთ ერთმანეთს, რომ დავიჯერეთ — სოხუმში ქართული დროშა ფრიალებს და ხალხი ტაშს უკრავს“, — ამბობს ქეთი კობიაშვილი.

ის საუბრობს 23 ივლისს, სოხუმში დროშის დღის აღსანიშნავად გამოფენილ დროშებზე, რომელთაგან ერთ-ერთი, წითელი ჯვრებით, ძალიან ჰგავდა საქართველოს ამჟამინდელ ხუთჯვრიან დროშას და რამაც ქართულ სოციალურ ქსელებში ბევრის აღფრთოვანება გამოიწვია. **„რატომ გაგიკვირდათ ჩვენივე მიწაზე ჩვენივე დროშა“,** — იყო ერთ-ერთი ფეისბუკმოხმარებლის კომენტარი.

> სამოქალაქო დიალოგის გარდა, კონფლიქტით და ოკუპაციით გაყოფილი მხარეები ძირითადად გაეროსა და ევროკავშირის ეგიდით თანამშრომლობენ. არის გამონაკლისებიც — საქართველოს ყველაზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის მუშაობას ქართველი და აფხაზი ენერგეტიკოსების თანამშრომლობა უზრუნველყოფს. ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატები და მართვის პულტი აფხაზეთის მხარესაა, კაშხალი კი — საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.
>
> აფხაზი პაციენტები დღემდე გადადიან გამყოფ ხაზს სხვადასხვა სამედიცინო სერვისის მისაღებად, თუმცა, როგორც წესი, ქართულ კლინიკებში მკურნალობაზე პაციენტები და მათი ოჯახის წევრები ხმამაღლა არ საუბრობენ.

ლანა კოკაია
„რადიო თავისუფლება“

ევროკავშირი დემოკრატიული მხოლოდ ქაღალდზეა!

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, **მატეუშ მორავეცკიმ** განაცხადა, რომ ევროკავშირი დემოკრატიული მხოლოდ ქაღალდზე არის, ხოლო რეალურ ძალაუფლებას ბერლინი და პარიზი ფლობენ, რომლებიც საკმარისად არ უსმენენ ევროკავშირის ნაკლებად ძლიერ წევრ ქვეყნებს.

„ქაღალდზე ყველა წევრი სახელმწიფო თანასწორია, თუმცა პოლიტიკური რეალობა ცხადყოფს, რომ გერმანიისა და საფრანგეთის ხმების წონა დომინანტურია. ჩვენ საქმე გვაქვს ფორმალურ დემოკრატიასთან, დე ფაქტო ოლიგარქიასთან, სადაც ძალაუფლება იმის ხელშია, ვინც უძლიერესია“, — აღნიშნა მატეუშ მორავეცკიმ გაზეთ **Die Welt**-ში გამოქვეყნებულ სტატიაში. პოლონეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, „ევროკავშირის შიგნით იმპერიალიზმის საფრთხეს“ ახლა ისევე უნდა ებრძოლონ, როგორც რუსული იმპერიალიზმის შემთხვევაში იყო საჭირო. მან ასევე განაცხადა, რომ ევროკავშირის შიგნით თანამშრომლობის საფუძველი უნდა იყოს კონსენსუსის ძიება და **„არა ძლიერის ბატონობა“**.

ევროპა ნორვეგიის გაზის იმედზეა, მაგრამ...

„ჩვენ არ შეგვიძლია, უბრალოდ მივიღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილება გაზის მიწოდების კიდევ უფრო გაზრდის შესახებ. ნორვეგიამ უკვე გაზარდა გაზის ექსპორტი და ახლა აწვდის იმდენს, რამდენიც შეუძლია“, — განაცხადა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა იონას გარი სტორემ.

ნორვეგია ამჟამად რეკორდული მოცულობის ნავთობსა და გაზს აწვდის გერმანიასა და მთლიანად ევროპას. რუსეთის შემდეგ, ნორვეგია გერმანიისთვის სიდიდით მეორე მიმწოდებელია. ამჟამად ის ფარავს გერმანიის ბუნებრივი აირის მოთხოვნილების 30 პროცენტზე მეტს. ნორვეგიამ მნიშვნელოვნად გაზარდა გაზის ექსპორტი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, რითაც რუსეთიდან გაზის იმპორტის ნაწილის ჩანაცვლება მოხერხდა.

ბრიტანეთმა რუსეთის საჰაერო სივრცე არ დამირღვევიარ...

დიდმა ბრიტანეთმა უარყო რუსეთის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბრიტანულმა სადაზვერვო თვითმფრინავმა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარი დაარღვია.

ბრიტანეთის თავდაცვის დეპარტამენტის სპიკერის კომენტარს CNN ავრცელებს.

„15 აგვისტოს, რუსულმა MIG-31-მა სახიფათო გადაფრენა მოახდინა ბრიტანეთის სადაზვერვო თვითმფრინავ RC-135W-ზე, რომელიც დაგეგმილი ოპერაციის ფარგლებში საერთაშორისო საჰაერო სივრცეში იმყოფებოდა, ნორვეგიისა და ბარენცის ზღვებზე.

დიდი ბრიტანეთის თვითმფრინავი კავშირში იყო რუსეთის სამოქალაქო საავიაციო მაკონტრელებელთან და მისი ეკიპაჟი მოქმედებდა უსაფრთხოდ და პროფესიონალურად“, — თქვა მან. სპიკერმა დასძინა, რომ თვითმფრინავი არ შესულა რუსეთის სუვერენულ სივრცეში და მოგვიანებით უსაფრთხოდ დაბრუნდა ბრიტანეთში არსებულ ბაზაზე.

უცხოეთი/წერილი რედაქციას

გმადლობთ, მედიკოსებო!

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ჩემს თავს მიმდინარე წლის 25 იანვრის შემდეგ დატრიალებულმა უსიამოვნო მოვლენებმა.

მე ვარ ზაურ თელია, 83 წლის, შ.ს.ს პენსიონერი, ვიცე-პოლკოვნიკი. აბაშის „საპატიო მოქალაქე“, ღირსების ორდენოსანი.

სანამ მივხვდებოდი რაში იყო საქმე, სამი დღით ადრე პროსტატის ჯირკვლის კაპილარიდან ამივარდა სისხლის დენა. გავიკეთე ნემსები, შემიჩერდა. მესამე დღეს ისევ განმეორდა სისხლდენა და დავუკავშირდი ოჯახის ექიმს, რომელმაც მირჩია სისხლის ანალიზის გაკეთება. ანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა და იმ დღესვე გადამიყვანეს ქ. სენაკის საავადმყოფოში, სადაც მედპერსონალი სამი დღე და ღამე იბრძოდა ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად. მესამე დღის ბოლოს სისხლის დენა გაძლიერდა, უკვე ძალიან ცუდად ვიყავი და გამოიძახეს ქუთაისიდან „კატასტროფის“ ბრიგადა, რომლებმაც დილის 5 საათზე სასწრაფოდ გადამიყვანეს ქ. ქუთაისის რეგიონალურ საავადმყოფოში, სადაც დილის 7 საათიდან დღის 12 საათამდე მედპერსონალი ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა. საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების უფროსმა კოტე შვანგირაძემ, მედპერსონალთან ერთად, ყველაფერი გააკეთეს და სიცოცხლე შემინარჩუნეს. იმ დღესვე გამსინჯა უროლოგმა ბ-ნმა მერაბ ბზიკაძემ და უროლოგიური ოპერაცია აუცილებელი იყო. ვინაიდან ჩემი პროსტატის ჯირკვალი 320 გრამზე მეტი იყო, თანაც მზარდი.

ოპერაციამდე საჭირო გახდა იმის დადგენა, სიმსივნე რა თვისების გახლდათ. ამიტომ, ბ-ნმა მერაბ ბზიკაძემ ბიოფსიის ჩასტარებლად გამგზავნა რადიოლოგიის განყოფილებაში, სადაც რადიოლოგმა ქ-ნმა თეა ჭარხალაშვილმა გამიკეთა უკვე საჭირო პროცედურა და მესამე დღეს მაცნობეს, რომ სიმსივნე კეთილთვისებიანი იყო და შეიძლებოდა ოპერაციის გაკეთება.

24 ივნისს გადაწყდა ოპერაცია და საბედნიეროდ, მედიკოსთა შემწეობით ყველაფერი კარგად დამთავრდა. რომ არა ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა პროფესიონალიზმი და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მე დღეს ცოცხალთა შორის არ ვიქნებოდი. ამიტომ ამ საგაზეთო წერილის მეშვეობით მინდა გულწრფელი მადლობა ვუთხრა მთელი ჩემი ოჯახის სახელით ქუთაისის რეგიონული საავადმყოფოს დირექტორს ბ-ნ კახა დურალიძეს, მთავარ მენეჯერს ბ-ნ თემურ ქარჩავას, ინფექციური განყოფილების უფროსს ბ-ნ კოტე შვანგირაძეს და მთელ მის კოლექტივს; ზოგადი ქირურგიის სამსახურის ხელმძღვანელს ბ-ნ ლევან ტყებუჩავას, ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბ-ნ ბადრი ალფაიძეს, ქირურგიული სამსახურის უფროსს ბესო აბულაძეს, ზოგად ქირურგს ბ-ნ ბადრი კობზავას, ქირურგებს: ბ-ნ დათო ჭყოიძეს და თორნიკე ჯანელიძეს, განსაკუთრებული მადლობა ანესთეზოლოგ ბ-ნ დიმა კრასოვსკის და საოპერაციო განყოფილების ყველა მედპერსონალს. განსაკუთრებული მადლობა უნდა ვუთხრა ექთნებს: ნინო ჭელიძეს, იზოლდა კიკვაძეს, ნათია სვანიძეს, ნათია სახუჩიძეს, მირანდა გაბიძაშვილს, ომარ ვაჩიბერიძეს და ნორა გრიგორაშვილს. ექთნების დამხმარეებს: მომავალ ექიმსა და თბილი გულის პატრონს მარიამ დახუნდარიძეს, ლელა ლასხიშვილს და ანი ჯანელიძეს. რეინჯერებს: გელა რამიშვილს, გიორგი ქუთათელაძეს და რობერტ ქარსელაძეს. სანიტრებს: თეა ქარსელაძეს და ციალა ჯმუხაძეს.

რეგიონული საავადმყოფოში იდეალურადაა აწყობილი ავადმყოფთა მიღების თუ შემდგომი მკურნალობის საკითხი. აქვთ თანამედროვე აპარატურა და რაც მთავარია, საავადმყოფოს ყველა თანამშრომელი პროფესიონალია და იდეალურად ასრულებს თავის მოვალეობას, რაც საავადმყოფოს ხელმძღვანელის ბ-ნ კახა დურალიძის დამსახურებაა.

ბოლოს, ყველამ მაპატიოს და ძალიან-ძალიან თბილი მადლობა მინდა ვუთხრა ურولოგ მერაბ ბზიკაძეს, რომელმაც გამიკეთა თავის პრაქტიკაში ერთ-ერთი ურთულესი ოპერაცია და მაჩუქა სიცოცხლე.

კიდევ მრავალი ასეთი ბრწყინვალე შედეგიანი ოპერაცია გაეკეთებინოს, ბატონო მერაბ. ჩემი დარჩენილი სიცოცხლის წლებში ყოველთვის იმ ადამიანთა ლოცვაში ვიქნები, ვინც ხელახლა მაჩუქა სიცოცხლე.

ოპერაცია ჩატარდა ძალიან კარგად, მაგრამ რთული შეიქნა ჩემი ნარკოზული მდგომარეობიდან გამოყვანა. ნარკოზისტსა და საოპერაციო ბლოკის ყველა თანამშრმელს დიდი ნერვიულობა შევახვედრე, მაგრამ მათმა ძალისხმევამ დამიბრუნა სიცოცხლე. რისთვისაც კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას!

ღმერთო, უმრავლე საქართველოს ასეთი ადამიანები!

მადლიერი პაციენტი
ზაურ თელია,
აბაშიდან

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 04აგვისტოს № 1-1/338 ბრძანების შესაბამისად

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისის 2018 წლის 23 აგვისტოს 66/18 გადაწყვეტილების საფუძველზე, ახორციელებს 35 კვ. ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზის „საგარეჯო3“-ის გაძარცვული უბნის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტს.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება განაპირობა მოხმარების ზრდის შედეგად სს „ენერგო-პროჯორჯიას“ ელექტროგადამცემი ხაზების გადატვირთვამ და საკმარისი თავისუფალი სიმძლავრის არარარსებობამ. პროექტით გათვალისწინებულია ქ/ს 35/10 კვ. პატარძეულის და ქ/ს 35/10კვ. სართიჭალის დამაკავშირებელი 35 კვ. საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის გაძარცვული უბნის რეაბილიტაცია, 35 კვ. ელექტროგადამცემი

ხაზის „საგარეჯო 2“-ის და ელექტროგადამცემი ხაზის „საგარეჯო 3“-ის გადაერთება და ერთ საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზად „საგარეჯო 2“-ად გადაქცევა.

პროექტის დანიშნულებაა სიმძლავრეების დეფიციტის მართვის და ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრების გაუმჯობესება. შედეგად, რეგიონში მოხერხდება ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. აგრეთვე, უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოება. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

ზ/ხსენებული პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში, 26-ე ქუჩა N33-ში მდებარე ბადრი ზითანიშვილის (პ/ნ 12801102977) და დავიდ ზითანიშვილის (პ/ნ 12001052206) თანასაკუთრებაში არსებული 4266.00კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ

81.12.06.555) ნაწილის 24კვ.მ-ის გამოსყიდვის აუცილებლობა აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, შპს „თი ჯი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-ს შეფასების ანგარიშით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 35 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „საგარეჯოს 3“-ის გაძარცვული უბნის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მესაკუთრეებთან, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2022 წლის 04აგვისტოს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **1-1/338 ბრძანება** „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში, 26-ე ქუჩა N33-ში მდებარე ბადრი ზითანიშვილის (პ/ნ 12801102977) და დავიდ ზითანიშვილის (პ/ნ 12001052206) თანასაკუთრებაში არსებულ 4266.00კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.12.06.555) ნაწილზე - 24კვ.მ-ზე.

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების

შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

ვაქციოთ „დიდგორი“ ქართულ მარათონად!

სპორტის ჟურნალისტის თაოსნობა

ყოველი ერის ისტორიას მრავლად ამშვენებს ღირსშესანიშნავი მოვლენები, რომლებმაც ქვეყნის ცხოვრებასა და მატიანეში წარუშლელი კვალი დატოვა. მაგალითად, ბერძნებისთვის გამორჩეული თარიღია ძველი წელთაღრიცხვის 490 წლის 12 სექტემბერი, როცა მარათონთან ელინელთა არმიამ მასზე ბევრად მრავალრიცხოვან სპარსელებზე გაიმარჯვა.

ამ ისტორიულ ამბავს უკავშირდება ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთმა ბერძენმა მეომარმა **ფიდიპიდესმა** (ფიდიპიდე) მთაგრეხილებით მავალი ბილიკებით, შეუსვენებლად ირბინა 40 კილომეტრზე მეტი მარათონიდან ათენამდე, რომ თანაქალაქელებისთვის ეცნობებინა ისტორიული გამარჯვების შესახებ. აკროპოლისის კარიბჭესთან გამოჩენისთანავე მან მოუთმენლად მომლოდინე თანამემამულეებს შესძახა – „გიხაროდენ, ჩვენ გავიმარჯვეთ“ და უსულოდ დაეცა მიწაზე.

მკვლევრების აზრით, ამ ლეგენდის მართებულობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან საამისოდ საფუძველი არ არსებობს – თანამედროვეთა ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი. არადა, ასეთი გმირობა უყურადღებოდ არ დარჩებოდა. მარათონის ბრძოლიდან მხოლოდ 700 წლის შემდეგ ფიდიპიდე პირველად მოიხსენიება პლუტარქეს ტრაქტატების ფურცლებზე.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მეორე ბერძენმა ავტორმა ლუკიანემ აღწერა „მარათონელი მორბენლის“ ისტორია. ჰეროდოტეს ვერსიით კი, ის იყო მაცნე, შეტყობინების მიმტანი. ისტორიის მამის მტკიცებით, ფიდიპიდესი ათენიდან სპარტაში გაგზავნეს დახმარების სათხოვნელად.

ფიდიპიდეს ფაქტი გამოიგონეს თუ რეალურად არსებობდა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ანტიკური ეპოქის ბერძნის გონება მიხვდა, რომ თუნდაც არყოფილი გამოეგონებინა. ადამიანს ამის გაკეთება შეუძლია და შეუძლია არა სხვას, არამედ – ელინელს. რაკიღა ძნელად შესაძლებელი და ადამიანის ღირსების წარმომჩენი კონცეპტია, ამიტომ აიზიდა კულტურის რანგში – იმ ერის შვილი ვარ, რომელიც ამის უნარით არის დაჯილდოებული.

ვფიქრობთ, ფიდიპიდეს ამბავი კულტურული ღირებულების ელემენტად, მარკერად, ადამიანის სულიერ-ინტელექტუალური ძალმოსილების დემონსტრირებად იქცა, ამიტომაც დაისვა საკითხი, რომ რეპრეზენტირების ფუნქციით, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერ-ინტელექტუალური გამოცდა შესულიყო სასპორტო შეჯიბრებათა ნუსხაში. აქ მნიშვნელოვანი მომენტი იყო ყოფითი ფაქტის კულტურული ღირებულების ელემენტად გადაქცევა და მისი კულტურულ ღირებულებათა სისტემაში დამკვიდრება.

ფიდიპიდესი იყო ლეგენდა, რომლის სახელიც ყველა ბერძენმა იცოდა. ამით ისარგებლა ფრანგმა ფილოლოგმა, სორბონის უნივერსიტეტის 60 წლის პროფესორმა **მიშელ ბრეალმა** და ის თავისი იდეის საფუძვლად გამოიყენა. როგორც ამბობენ, ბრეალი დარწმუნებული იყო, რომ ბერძენთა გულის მოსაგებად აღორძინებულ ოლიმპიურ თამაშებს რაღაც უფრო მეტი სჭირდებოდა, ვიდრე – ანტიკური ოლიმპიური თამაშებიდან გადმონერგილი ბადროს ტყორცნა.

აუცილებელი იყო ისეთი სასპორტო მოვლენა, რომელიც მარათონიდან ათენამდე ფიდიპიდეს რბენის ლეგენდას გააცოცხლებდა. ამიტომაც უთხრა მან 1894 წელს აღორძინებული ოლიმპიური თამაშების სულისჩამდგმელ ბარონ **პიერ დე კუბერტენს**, **„ათენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი თამაშების პროგრამაში თუ შეიტანს სარბენ დისციპლინას, რომელიც მარათონელი ჯარისკაცის დიდებულ გმირობას აღადგენს, მაშინ სიამოვნებით დავაწესებ რაღაც პრიზს“.** ახლადშექმნილი ოლიმპიური კომიტეტის წევრები ენთუზიასტს დაეთანხმნენ. ისედაც, როგორც ამბობენ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ყველაფერი ანტიკური მოდაში იყო.

იქნებ, სრულიად მართებულად ფიქრობენ მკვლევრები, რომ ლუკიანეს რიტორიკულ პროზაში ფიდიპიდე ჩნდება არა როგორც რეალური გმირი, შიკრიკი, მარათონიდან ათენამდე ამბის მიმტანი, ანუ მწერალი აღწერს არა მაშინდელი ამბების სიმართლეს, არამედ იგი გამოიგონა მომხდარი მოვლენის სიმბოლიკად. მორბენალი მაცნე იქნებ იდეალური ხორცშესხმაა ბრძოლის ველზე დაცემული იმ ათასობით უსახელო ათენელი ჯარისკაცისა, რომლებმაც უთანასწორო ომში ელადის თავისუფლება დაიცვეს. და თუ ეს არის „გმირობის ქრესტომათიული მაგალითი“, მაშინ, ბრეალის წყალობით, მარათონი სრულიად სამართლიანად იქცა **ოლიმპიურ დისციპლინად**.

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი **ჯეიმს კონოლი** (1868-1957), ბოსტონელი სტუდენტი, რომელმაც სამხტომში 13 მეტრითა და 71 სანტიმეტრით გაიმარჯვა. ძნელად თუ ვინმეს გაახსენდება მისი სახელი – პირველი თამაშების გმირად ხომ მარათონულ რბენაში ჩემპიონი ბერძენი მერწყულე და ფოსტალიონი **სპირიდონ (სპიროს) ლუისი** აღიარეს.

1896 წლის 10 აპრილის ნაშუადღევს, 17 მორბენალი შეიკრიბა მარათონის უძველესი ბრძოლის ველთან. მათ 40 კილომეტრი გაირბინეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 330 წელს აშენებულ ათენის მარმარილოს (პანათენის) სტადიონამდე. იმის მიუხედავად, რომ ნახევარ გზაზე გაჩერდა კვერცხის საჭმელად და ჭიქა ღვინის დასალევად, 23 წლის ბერძენი სპირიდონ ლუისი პირველი მორბენალი იყო, რომელიც სტადიონზე შევიდა. ტრიბუნებზე შეკრებილი 80.000-მდე გულშემატკივარი მას ოვაციითა და ტაშის გრიალით შეეგება. საბერძნეთის პრინცი და მისი ძმა ტრიბუნიდან ტრასაზე გადახტნენ, რათა ლუისს შეერთებოდნენ, როცა ის სტადიონზე ფინიშის ხაზს გადაკვეთდა. **„აღფრთოვანება და ენთუზიაზმი, უბრალოდ, აუწერელი იყო. ერთ-ერთი ყველაზე არაჩვეულებრივი სანახაობა, რაც მე მახსოვს“,** – წერს ამ მოვლენის შესახებ პიერ დე კუბერტენი.

ლუისს მეტი არასოდეს ურბენია მარათონი, ანუ 42 კილომეტრი და 195 მეტრი, მაგრამ მისმა გამარჯვებამ ამ შეჯიბრებისადმი ინტერესი გააღვივა. მარათონულმა რბენამ მალევე მოიცვა ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა. ჩაისახა სპორტის კიდევ ერთი სახეობა, სიტყვა „მარათონმა“ კი ახალი მნიშვნელობა შეიძინა. დღეს ეს უკვე აღარ არის ზებუნებრივი სიგრძის მანძილი – ის ადამიანის გამძლეობის გამოცდაა და მთელ პლანეტაზე ძალიან ბევრმა ეს გამოწვევა სიამოვნებით მიიღო.

მსოფლიოში ყველაზე „მაღალი“ მარათონი ევერესტზე იმართება: დედამიწის უმაღლესი მწვერვალი (8848 მ) არა მარტო მთამსვლელებს, არამედ რბენის მოყვარულებსაც ეგებება. ყოველწლიური გარბენი Tenzing Hillary Everest Marathon მოწოდებულია საიმისოდ, რომ თენსინგ ნორგეი შერპის და ედმუნდ ჰილარის 1953 წელს ევერესტზე პირველი წარმატებული ასვლა აღინიშნოს. საწყისი ხაზი 5364 მეტრის სიმაღლეზეა.

ქართველებისთვის დაუვიწყარი და საამაყო დღეა 12 აგვისტო – 901 წლის წინათ, 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა დიდგორის ბრძოლა, ანუ „ძლევაი საკვირველი“: ქართველთა ლაშქარმა დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან) თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარების წინააღმდეგ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

დავიჯეროთ, ჩვენს წინაპრებს მაცნე-მალემსრბოლი არ ეყოლებოდათ, რომ ეს სასიხარული ამბავი დედაქალაქელებისთვის ეცნობებინათ? ცხადია, ეყოლებოდათ, მაგრამ...

„ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და... ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“, – წერდა ჯერ კიდევ 1880 წელს ილია ჭავჭავაძე.

მარათონი ბერძენი ერის სულის გამოხატულება და ელინთა ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტია, როგორც ქართველებისთვის 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლა. საოცარი დამთხვევაცაა – დიდგორიდან თბილისამდე თითქმის იგივე მანძილია (39.11 კმ), რაც მარათონიდან – ათენამდე.

ხომ არ დადგა დრო, 901 წლის წინანდელი ჩვენთვის ყოფითი ისტორიული ამბავი ქართველი ერის კულტურულ ღირებულებათა სისტემაში დავამკვიდროთ და ყოველწლიურად 12 აგვისტოს გაიმართოს 40–კილომეტრიანი რბენა სახელწოდებით **დიდგორი?!**

მარათონის მოვლენის, ანუ რბენით დაფარული მანძილის კულტურის კონცეპტად – კულტურის ღირებულებითი სისტემის ელემენტად ქცევა იმას ცხადყოფს, თუ როგორ კვებავს ერის სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროს კონკრეტული ყოფითი ფაქტი და ის კულტურის კონცეპტში მენტალობის განმსაზღვრელ ელემენტად როგორ იქცევა.

ისევ დიდ ილიას დავესესხებით: **„არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“.**

კარგი იქნება, თუ კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პარლამენტის სპორტის კომიტეტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, თბილისის მერიისა და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის, ასევე, ქართველი მეცენატების ძალისხმევით, „დიდგორს“ ქართულ მარათონად ვაქცევთ – მსოფლიოს ახალ მძლეოსნურ დისციპლინა „დიდგორს“ (40 კმ) შევთავაზებთ.

ვიცი, ზოგიერთები წამომაძახებენ, ეს ხომ მიბაძვაა, ხომ არისო მარათონი და ნახევარმარათონი...

ვინც მძლეოსნობის ისტორიას იცნობს, დამეთანხმება, რომ ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კარგა ხანს ერთ სტადიაზე (192.27 მ) რბენა შედიოდა, მერე ორ სტადიაზე რბენა შემოიღეს, დღეს კი მძლეოსნობას რბენის რამდენიმე დისციპლინა ამშვენებს. ვფიქრობთ, „დიდგორის“ დამატებითაც არაფერი დაშავდება.

ვაჟა დანელია,

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული ჟურნალისტი.

ხვიჩა კარიგი რომეოსა და ჯულიეტას ქალაქში

...სხვა მრავალიც!

შემთხვევით ასეთ დებიუტს ვერავინ მოიწყობს. დიახ, ხვიჩა კვარაცხელია უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება და ვარსკვლავია.

სიმბოლურია, რომ ქართველმა კვარადონამ „სერია-ა“-ში პირველი ომახიანი სიტყვა სწორედ რომეოსა და ჯულიეტას უკვდავი სიყვარულის ქალაქში დააგუგუნა და გენიალური მარადონას დაუვიწყარ სპექტაკლებზე აღზრდილ ნეაპოლიტანელ ტიფოზებს თავი უკვე შეაყვარა.

რასაკვირველია, მის მიერ „ვერონას“ კარში გატანილი თაური სტატისტიკიდან არასოდეს ამოიშლება, მაგრამ კიდევ უფრო კლასიკურად შეფასდა ერთი შეხებით შესრულებული ფილიგრანული პასი, რომლითაც ზელინსკიმ სტუმრები დააწინაურა და საბოლოოდ გატეხა მეტოქე – 5:2.

მოკლედ, ფარდა აწეულია და წინ ისტორიული სეზონი გველის. 21 მარტს „ნაპოლი“ „მონცას“ უმასპინძლებს.

„შიმშილის ქვები“ – გაფრთხილება წარსულიდან

ძლიერი გვალვა ევროპაში მდინარეებს აშრობს, რის შედეგადაც, ჩნდება საუკუნეების წინ ამოტვიფრული ქვები, რომლებიც მომავალ თაობას მოსალოდნელი ძნელბედობის შესახებ აფრთხილებს.

გამოცემა Miami Herald-ის ცნობით, ადგილობრივები იუწყებიან, რომ დამშრალ მდინარეებში ჩნდება საუკუნეების წინანდელი ლოდები, რომლებსაც „შიმშილის ქვებს“ უწოდებენ. ერთ-ერთი ასეთი ქვა ჩეხეთში, მდინარე ელბას ნაპირზე გამოჩნდა.

ლოდი 1616 წლით თარიღდება და მასზე გაფრთხილება გერმანულ ენაზეა ამოტვიფრული: **„Wenn du mich seehst dann weine“**, რაც ასე ითარგმნება – **„თუ დამინახე, იტირე“.**

2013 წლის კვლევაში ჩეხ მეცნიერთა ჯგუფი წერდა, რომ ეს ლოდები „მოჭედილია გაჭირვების წლებით და ისტორიისთვის დაკარგულ ავტორთა ინიციალებით; წარწერები გვაფრთხილებს გვალვის მძიმე შედეგებზე“.

„წერია, რომ გვალვებმა განაპირობა ცუდი მოსავალი, საკვების ნაკლებობა, მაღალი ფასები და ღარიბთა შიმშილი. ქვებზე მოხსენიებულია 1900 წლამდე არსებული გვალვები: 1417, 1616, 1707, 1746, 1790, 1800, 1811, 1830, 1842, 1868, 1892 და 1893 წლების“, – წერენ მკვლევრები.

ეს „ჰიდროლოგიური ღირსშესანიშნაობები“ ბოლოს ზედაპირზე 2018 წლის გვალვისას გამოჩნდა.

ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრის უფროსი მკვლევრის, ანდრეა ტორეტის განცხადებით, გვალვა, რომელიც ევროპას ამჟამად უტევს, შეიძლება ყველაზე უარესი იყოს გასული 500 წლის განმავლობაში.

9 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე ტორეტიმ აღნიშნა, რომ გასული 500 წლის განმავლობაში არ დადასტურებულა 2018 წლის მსგავსი გვალვა, მაგრამ წლევანდელი ალბათ უარესია.

მისივე განცხადებით, დიდია იმის ალბათობა, რომ მშრალი გარემო პირობები მომდევნო სამი თვის განმავლობაშიც გაგრძელდეს. ხშირ და ძლიერ გვალვებს სულ უფრო მეტი კვლევა უკავშირებს კლიმატის ცვლილებას. გლობალური ტემპერატურის მატება განაპირობებს ცვლილებებს ნალექებში და აორთქლების გაძლიერებას.

ევროპის გვალვის ობსერვატორიის მონაცემებით, ევროპის 47 პროცენტი გვალვის გამაფრთხილებელ პირობებშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიადაგში ტენიანობის დეფიციტია; კონტინენტის 17 პროცენტი კი გვალვის მზადყოფნაშია, რაც ნიშნავს, რომ მცენარეულობა დასტრესილია.

ეს ქვები ერთადერთი დამალული რელიკვია არაა, რაც ევროპის მდინარეებში გვალვამ გამოაჩინა. ცოტა ხნის წინ, იტალიაში, მდინარე პოში წყლის შემცირებისას გამოჩნდა არქეოლოგიური საგანძური.

ივლისის ბოლოს, ასევე პოში მეთევზემ შენიშნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ბომბი, რომელიც ექსპერტებმა გააუვნებელყვეს.

მაიას ხალხი რეზინის ბურთებს ბელადთა ფერფლისგან ამზადებდნენ

მაიას ხალხი საკუთარ მმართველთა ცხედრებს წვავდა და მათ ფერფლს რეზინის ბურთების დასამზადებლად იყენებდა. ამის შესახებ არქეოლოგები ახალ კვლევაში იუწყებიან. მკვლევართა განცხადებით, ამის მტკიცებულება სამხრეთ მექსიკაში, მაიას ქალაქ ტონინას გათხრებისას აღმოაჩინეს.

ასო I-ს ფორმის მოედანზე, რეზინის ბურთით ამ თამაშს ორი გუნდი თამაშობდა.

თამაში ათასობით წლის განმავლობაში ძლიერ პოპულარული იყო მთელ ამერიკის კონტინენტზე. მაიას უძველეს ქალაქებში, მათ შორის ტონინაში, ბურთის სათამაშო მრავალი მოედანია აღმოჩენილი. თეორია რეზინის ბურთების შესახებ, მექსიკის ანთროლოპოგიისა და ისტორიის ეროვნული ინსტიტუტის არქეოლოგმა, ხუან იადეუნ ანგულომ წამოაყენა.

2020 წელს, ნაქალაქარ ტონინაში, მზის ტაძრის სახელით ცნობილი პირამიდის ქვეშ, ანგულოს ჯგუფმა 1300 წლის აკლდამა აღმოაჩინა.

აკლდამაში მიაგნეს დაახლოებით 400 ჭურჭლის ნარჩენებს, რომლებიც შეიცავდა ორგანულ მასალებს, მათ შორის ფერფლს, ნახშირსა და ბუნებრივ რეზინს.

მას შემდეგ, რაც მკვლევართა ჯგუფმა ეს დოქები და აკლდამა შეისწავლა, მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათში არსებული ფერფლი ბელადების კრემირებულ ნარჩენებს წარმოადგენს.

როგორც ისინი აღნიშნავენ, ჭურჭლებში არსებული სხვა მასალები ასევე წარმოადგენდა ვულკანიზაციის პროცესისთვის საჭირო ინგრედიენტებს.

ჯგუფმა ასევე შეისწავლა პირამიდასთან ახლომდებარე ბურთის სათამაშო მოედანზე მდგარ სკულპტურებზე არსებული ორნამენტები და დაადგინა, რომ ისინი ასახავდა ბელადს, სახელად ვაკ ჩან კაჰკს, რომელიც მაიას იეროგლიფების მიხედვით, ახ. წ. 775 წლის სექტემბერში დაიღუპა; ასევე გამოსახული იყო ქალი, სახელად კავიილ კააანი, რომელიც ახ. წ. 722 წელს დაიღუპა და მაღალი იერარქიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

არქეოლოგთა აზრით, ამ ინდივიდთა ცხედრები დაწვეს და მათი ფერფლი რეზინის ბურთების დამზადებაში გამოიყენეს. ნგულოს განცხადებით, „პოპოლ ვუჰში“, ტექსტში, რომელიც მაიას ხალხის შექმნას აღწერს, მიწისქვეშა სამყაროში არსებობდა საბურთაო მოედანი, რომელზეც ადამიანის ან ღმერთების თავებით თამაშობდნენ.

გამოცემა Live Science-მა ამ საკითხზე აზრი ჰკითხა რამდენიმე ისეთ მეცნიერს, რომლებიც ამ კვლევაში ჩართული არ ყოფილან.

ზოგიერთი მათგანი ეთანხმება, რომ ადამიანის ფერფლს მართლაც შეიძლება იყენებდნენ რეზინის ბურთების დამზადებაში. **„სრულიად შესაძლებელია, რომ რეზინის ბურთებში ადამიანის ნაშთებია გამოყენებული. მაიას ხალხი ადამიანის ნაშთებს წარმოუდგენლად ფართო კონტექსტში იყენებდა“,** – ამბობს აღმოსავლეთ ტენესის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ანთროპოლოგიის პროფესორი უილიან დუნკანი.

ვერმონტის მიდლბერის კოლეჯის ანთროპოლოგიის პროფესორი ჯეიმს ფიცსიმონსი კი აცხადებს, რომ თუ ადამიანის ნაშთებს მართლაც იყენებდნენ რეზინის ბურთების დასამზადებლად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ბელადების ნაშთები ყოფილიყო. მისი აზრით, უფრო მეტად საფიქრალია, რომ ეს ომში ტყვედ ჩავარდნილთა ნარჩენები ყოფილიყო.

მოამზადა მიხეილ ჭაბუკაშვილმა Business Insider-ის, Live Science-ის მიხედვით.

სანთელი



საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს პურპროდუქტების მინისტრის ყოფილ მოადგილეს იური ოსიპოვს ძმის, ცნობილი ინჟინერ-მშენებლის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის

ვიქტორ ოსიპოვის

გარდაცვალების გამო.

მ. დოლიძე, ო. კაჭარავა, ო. ჭავჭანიძე, მ. გაბუნია, ნ. იუსუპოვი, თ. ბაზერაშვილი, გ. კამკამიძე, ა. ყიფიანი.

იდუმალი სტუმრის მეთოდით მომსახურების ხარისხის კვლევა აჭარაში

აჭარაში კვების ობიექტების მომსახურების ხარისხის კვლევა მიმდინარეობს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი სერვისის დონეს რეგიონში არსებულ 100 ობიექტში იდუმალი სტუმრის მეთოდით შეაფასებს. პროექტის მიზანი მომსახურების სფეროში არსებული გამოწვევების დადგენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სატრენინგო პროგრამების შემუშავებაა, რაც საბოლოო ჯამში სერვისის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

იდუმალი სტუმრის კვლევის შედეგები კვების ობიექტების წარმომადგენლებს ინდივიდუალურად მიეწოდებათ, რათა მათ ინფორმაცია ჰქონდეთ არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და შეძლონ მათი გამოსწორება. თავის მხრივ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი არსებულ მონაცემებს 2023 წლის სატრენინგო პროგრამების დაგეგმვისას გაითვალისწინებს.

200-მდე მოხალისემ გუდაური დაალაგა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის ტრასების სააგენტოს“, საქართველოს დამლაგებელთა გილდიისა და კერძო სექტორის ორგანიზებით, პირველად გუდაურში, დალაგების მასშტაბური აქცია გაიმართა.

ორი დღის განმავლობაში დასუფთავდა ყველა ის პრობლემური არეალი, სადაც იყო საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნაგავი. მთა სრულად გაიწმინდა პოლიეთილენის ნარჩენებისაგან, პლასტმასისა და შუშის ბოთლებისგან, პირბადეებისაგან და სიგარეტის ნამწვავებისაგან. 200-მდე მოხალისემ 600-ზე მეტი 100-ლიტრიანი ტომრის ავსება შეძლო. დასუფთავებაში ჩართულები იყვნენ მოხალისეები, როგორც თბილისიდან, ასევე გორის ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალი თაობის“ წევრები. „დალაგების დღეებს“ შეუერთდნენ ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ავტოპარკი 15 მანქანით შეივსო

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 15 ერთეული ახალი, მაღალი გამავლობის ავტოტექნიკა გადაეცა. Mitsubishi-ს მარკის მაღალი გამავლობის ავტომობილები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის სხვადასხვა დაქვემდებარებულ დანაყოფში გადანაწილდება.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნადაა გადაიარაღებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ავტოპარკი. ბოლო 10 წელში სამსახური აღიჭურვა: 61 ერთეული ახალი სახანძრო ავტო-ტექნიკით, 154 ერთეული სხვადასხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და 31 ერთეული მცურავი საშუალებებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მომავალშიც აქტიურად განაგრძობს სახანძრო-სამაშველო ავტოპარკის განახლებას.

ვულოცავთ!

მარადიული სიყვარულის ერთგული ოჯახის ღირსეულ დიასახლისს, სამაგალითო დედასა და ბებოს, ძველ ბარნოველს, უცხო ენათა პროფესიონალ სპეციალისტს ხათუნა ხუციშვილს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს.

ვუსურვებთ, რჩეულთან ერთად გაისად საკადრისად აღენიშნოს ვერცხლის ქორწილი.

მეგობრები

ფერისცვალება უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

19 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ფერისცვალებას. ფერისცვალება იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ამიტომაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულად შერაცხა!

როდესაც იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა, იგი უნდა ვნებულიყო ადამიანთა ცოდვებისთვის. მან იცოდა, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა ამას, ბევრი დაკარგავდა სასოებას და რწმენას საუკუნო ცხოვრებისას, ამიტომაც გადაწყვიტა, ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა, გაეძლიერებინა... საგულისხმოა, რომ თაბორის მთაზე ასაყვანად უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე. ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, შესანიშნავადაა აღწერილი ფერისცვალების ეპიზოდში (სახარებიდან).

...ლოცვის დროს, თაბორზე მაცხოვრის სახე განათდა, გაბრწყინდა როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც სპეტაკი თოვლი და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში.

მოწაფეები თავიდან რულმა მოიცვა და როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამა ღმერთის ხმა: **„ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ“!**

ნიშანდობლივია ისიც, რომ ფერისცვალების დღესასწაული მთელი 7 დღის განმავლობაში გრძელდება. ამ დღეს ხდება ყურძნისა და სხვა ნაყოფთა კურთხევა. მართლმადიდებელნი ფერისცვალებამდე ყურძენსა და ლეღვს არ მიირთმევენ.

გიული ლიპარტია

ხათუნა ვაშაძის „ტყვია“ აგვისტოს საუკეთესო ფილმი

კინოდებიუტანტი რეჟისორის, ხათუნა ვაშაძის მიერ გადაღებულმა სურათმა უკვე მეოთხე პრიზი აიღო. ნიუ-იორკის ქალთა საერთაშორისო ფესტივალის ნახევარფინალისტთა სიაში მოხვედრის შემდეგ, ტოკიოს ყოველთვიური საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული გახდა. ფილმი „ტყვია“ აგვისტოს საუკეთესო ფილმად დასახელდა.

ფილმს წარმატება ხვდა ასევე ირანის ქალთა საერთაშორისო ფესტივალზე ნომინაციით და თურქეთში, კინოფესტივალ „ანდრომედა“-ზე. ტოკიოს ფესტივალზე ყოველთვიურად სახელდება თითო გამარჯვებული. 2 დეკემბერს წლიური შემაჯამებელი ეტაპია, რის შემდეგაც ვლინდება უკვე „წლის საუკეთესო ფილმი“.

„ტყვია“ მრავალ ფესტივალზეა დაგზავნილი, 2023 წლის თებერვლამდე გაწერილია ფილმის მოგზაურობა. იგი მიწვეულია სანდენსის, აგრეთვე ესპანეთის მარბეას ფესტივალებზე.

ფილმის ჟანრი დრამაა, მასში მთავარ როლებს თამაშობენ გიორგი მეგრელიშვილი, ზაზა მაღალაშვილი, გიორგი აზნაური, მალხაზ ქვრივიშვილი, ნინო ლეჟავა, მალხაზ ასლამაზაშვილი, ბექა თურმანიძე, კახა ბაკურაძე, სანდრო ნიკოლაძე და სხვა. საქართველოში კინო-პრემიერა 2023 წლისთვის იგეგმება. გვინდა კიდევ მრავალი წარმატება ვუსურვოთ დებიუტანტ, ქართველ რეჟისორს.

საერთაშორისო მედია და ქაართული ტურიზმი

ჩვენს ქვეყანაში, ბოლო შვიდ თვეში, იმაზე მეტი ტურისტი შემოვიდა, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. ტურისტების რაოდენობამ წელს, პანდემიამდელ ნიშნულს ბევრად გადააჭარბა.

ტურიზმის ეროვნული სააგენტო ძალისხმევას არ იშურებს, რომ ეს ციფრი, კიდევ უფრო გაიზარდოს. მათი ინიციატივით, საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებისთვის პრეს-ტური გაიმართა. ჟურნალისტები საფრანგეთიდან, თურქეთიდან, ინდოეთიდან, კორეიდან და ეგვიპტიდან საქართველოს ესტუმრნენ.

საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები „მესტიის მოკლე-მეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალს“ დაესწრებიან, რომელიც ამ დღეებში სვანეთში იმართება. ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალები კი სხვადასხვა საერთაშორისო მედიაპლატფორმაზე გამოქვეყნდება. სვანეთში გამგზავრებამდე უცხოელმა ჟურნალისტებმა ძველი თბილისი დაათვალიერეს, გაეცვნენ დედაქალაქის ისტორიულ არქიტექტურას, დაეგემოვნეს ქართული კერძები. ტურის დასრულების შემდეგ საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები, მაღალრეიტინგული გამოცემებისთვის საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და მესტიის ფილმების ფესტივალის შესახებ სტატიებს მოამზადებენ, რომელსაც ათობით მილიონი მკითხველი გაეცნობა საფრანგეთში, თურქეთში, ინდოეთში, კორეასა და ეგვიპტეში.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

აჭარის რეკლამა ბალტიისპირეთში

აჭარის ონლაინრეკლამას ბალტიისპირეთის ქვეყნებში მილიონობით წვდომა აქვს. სოციალურ ქსელებსა და გუგლის პლატფორმაზე გამოქვეყნებული რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლებისა და სარეკლამო ბანერების ჩვენებების რაოდენობებმა 15 600 000 გადააჭარბა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ბათუმის და რეგიონის სამთო ტურისტული პროდუქტების ონლაინრეკლამას ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში ავიაკომპანია AbhBfknbw-თან თანამშრომლობით ანხორციელებდა.

ონლაინკამპანიის პარალელურად მიმდინარეობდა გარე სარეკლამო აქტივობებიც. კერძოდ, ქალაქ რიგაში ბათუმის საიმიჯო ბანერებით გაფორმდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მთელი ქალაქის მასშტაბით გადაადგილდებოდა. გარდა ამისა, აჭარის პოპულარიზაციის მიზნით რეგიონს ათეულობით ტურისტული სააგენტოსა და მედიის წარმომადგენელი სტუმრობდა ბალტიისპირეთიდან, რამაც აღნიშნული ქვეყნებიდან ბათუმში ტურისტების მოზიდვასა და მედიაში აჭარის შესახებ სტატიების, ბლოგების, გადაცემების გამოქვეყნებას შეუწყო ხელი. **მიმდინარე წელს, ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები ხორციელდება რიგადან, ტალინიდან და ესტონეთიდან.**

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8019; ევრო - 2.8378
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3682;
100 რუბლი - 4.5530; თურქული ლირა - 0.1508;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6527;
1000 სომხური დრამი - 6.9203.

ამინდი 19 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+14	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge